საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი, 27 ნოემბერი 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 15 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 271 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 271

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე პელაგია, ვაჟი პეტრე მეუღლით, ქალები თამარა და ნინო მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილის

გამოსვენება ელისაბედის ქ. № 23, და დაკრძალვა შაბათს 27 ნოემბერს ვერის ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. (3784—2—2)

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: სოლომონ, აპოლონ, თომა, ანდრია, ივანე, გიორგი, და ელია, და სოფიო მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას

მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილის

(3784—2—2)

გულდათუთქული და ვარა გაგლოევისა, დები: სოფიო, ელისაბედ და თამარი ლაზარაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფასი

ალექსანდრე დავითის ძე ლაზარაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ სახლში, მთაწმინდა, თხინვალის ქუჩა № 10 გამოსვენება კვირას 28 ნოემბერს დილის 9 ნახ. საათზე კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3795—2—1)

მამიდა მარიამ ვეფხვაძისა შვილებით; ბიძა გიორგი, ძალუა ეკატერინე ლაზარაშვილები შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ

ალექსანდრე დავითის ძე ლაზარაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ სახლში. მთაწმინდა თხინვალის ქ. № 10, გამოსვენება კვირას 28 ნოემბერს დილის 9 ნახ საათზე კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (3795—2—1)

შაბათს 27 ნოემბერს ძველი სტილით მცხეთის საკათედრო სობოროში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

ვლადიმერ დიმიტრის ძე მხეიძის

სულის მოსახსენებლად რისაც ღრმად დამწუხარებული მეუღლე მისი ეფროსინე იგივე (ცოცო) მხეიძისა ხოფერიას ასული და მისი გაზრდილი ძმისწულები გუგუ ჯავბე და ტოგო მხეიძეები აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ, პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. (3794—1—1)

ნინო მიხეილის ასული და კალენიკე გიორგის ძე ქავთარაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს 27 ნოემბერს დილის 10 საათ. საკუთარი ბინიდან ელისაბედის ქ № 123. პანაშვიდი და დაკრძალვა დილის 12 საათზე ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. (3803—1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა ეკატერინე, დები ვერა და ნინა, ძმა ვლადიმერი, ბიძები მღვდელი იორამე აივაზაშვილი და მაქრო ჩხიკვაძე შვილებით და ამხანაგი დავით გაწერელია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას

მირონა აივაზაშვილის

უდროვოთ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია კვირას 28 ნოემბერს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება კვირას, დილის 10 ს. ვაკე ოქროვის სახლიდან. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. (3802—1—1)

ვასილი იოსების ძე არეშიძე და ნინო დავითის ასული გაბუნია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 28 ნოემბერს, დილის 12 საათ. გადახდილ იქნება წლის თავზე პანაშვიდი

ოლღა დავითის ასული გაბუნია-არეშიძის

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი გადახდილ იქნება კუკიის სასაფლაოზე მიცვალებულის საფლავზე. (3799—2—1)

ანასტასია და ეკატერინე იაკობის ასულნი ნიკოლაძე და ეფროსინე იაკობის ასული ქიქინაძე შვილებით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 25 ნოემბერს გადაიცვალა მათი საყვარელი დისწული

ოლღა ლუკას ასული ქორქაშვილი

გამოსვენება 27 ნოემბერს ნაშუადღევის 4 საათზე ბინიდან მთაწმინდის შესახვევი № 8. (3806—1—1)

ღრმად დამწუხარებული მეუღლე ანნა ვასილის ასული და შვილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე მესხიშვილები უგულითადეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ

ლადოს

მიცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. (ნ. 2—1)

მეორე ქართული კლუბი
დღეს შაბათს
სინემატოგრაფი
დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

(ნ. 1—1)

---

28 ნოემბერს, დღეს კვირას, დილის 11 საათ. ორთაჭალაში, ვორონცოვის ქ. № 99 დანიშნულია მებაღეთა კავშირის წევრთა

კრება

ამ კრებას უნდა დაესწრონ ბაღის მუშებიც. საკითხი საყურადღებოა და დასწრება ყველასათვის სავალდებულოა. კავშირის თავმჯდომარე ეგ. შუბლაძე. (უ. 1—1)

იბეჭდება და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა
კარლ კაუცკის ახალი წიგნი
სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში
თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან
გამოცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.
წიგნი ღირს 70 მ. წიგნების შეძენა შეიძლება გაზ. „ერთობის" კანტორაში.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა
იწვევს ხუთ დეკემბერს
საერობო ყრილობას

განსახილველია გამგეობის მოხსენება სარევიზიო კომისიის მოხსენება საერობო არჩევნები სასურსათო ბეღლების დაარსება უძრავ ქონებათა ჩამორთმევა, სავალდებულო დადგენილებები და სხვა. ერობის გამგეობა. (ნ. 2—1)

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

იმყოფება სასახლეში, სადაც კომიტეტის თავმჯდომარე სერ. ჟორჟოლიანი იძლევა ყოველგვარ ცნობებს კომიტეტის მუშაობის შესახებ; იგი ღებულობს ფრონტის საჭიროებისათვის მუშაობის მსურველ პირთაგან განცხადებებს. იქვე მორიგეობს კომიტეტის წევრი, სასახლეშივე, კომიტეტის მოლარე დიმ. კალანდარაშვილი და საქმის მწარმოებელი გერ. ქიქოძე ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებათა. ტელ. 3—87, 6—02, 8—34. (3801—2—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

შაბათს, ნოემბრის 27-ს
პირველად
ზღვასთან
ენგელისა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი მ. ქორელი.
(ნ. 1—1)

შაბათს, დეკემბრის 4-ს
პირველად ქართული ორიგინალური ტრაგედია
ბერდო-ზმანია
ალ. შანშიაშვილისა.
ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.
რეჟისორი ალ. ახმეტელი.
მუსიკა დ. არაყიშვილისა.
ბალეტი და ხორო. ბილეთები კასაში.

ავლაბრის მუშათა კლუბი
კახეთის ქ. № 1,
შაბათს, 27 ნოემბერს
დიდი საღამო

I
დრამატიული განყოფილება:
„არც აქეთ არც იქით"
ვ. გუნიასი.
—
ფოსტა, აუქციონი, ყვავილები, მკითხავი ცეკვა-თამაში.
დაუკრავს დუხოვოი მუზიკა.
(3798 1—1)

II
ლიტერატურული განყოფილება
მგოსნები: გ. ტაბიძე, ობოლი მუშა, ხ. ვარდოშვილი.
—
ვახშამი, ხილი, ჩაი.
დასაწყისი საღ. 8 საათზე.

---

28 ნოემბერს, კვირას
სახალხო გვარდიის სახლში კარლ კაუცკის სახელობაზე
გამართული იქნება
გრანდიოზული საღამო
ფრიდრიხ ენგელსის დაბადებიდან 100 წლის ხსოვნის აღსანიშნავად
შემდეგი შინაარსით:

I
მოხსენება: ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრება და მისი დრო. სევერიანე ედიბერიძე.

II
ერთ მოქმედებიანი პიესა
„თავისუფლების ბარიკადზე"
გერგეელისა.

III
დივერტისმენტი
პოეტები: 1) ვ. რუხაძე, 2) გ. ქუჩიშვილი, 3) ობოლი მუშა, 4) ვარდოშვილი.
თაგუნა.
იმღერებს გვარდიელების მომღერალთა გუნდი
გვარდიელების მიერვე წაკითხული იქნება ლექსები.

საგანგებო ბატალიონის და საინჟენერო კულტ. განმანათლებელი სექცია.
(3788 2—1)

ქართული კლუბი
1920 წ. 28 ნოემბერს
დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება
გალა--კაბარე
(საღ. 4 საათ. ღამის 10 საათ.)

„ჯიმის" მსახიობები, თამარა წერეთელი გიტარის დამკვრელი ს. ნ. ნარიმანოვი, ნ. შაროვი, ბ. ირუნოვი. სიმებიანი ორკესტრი. არაჩვეულებრივი სიურპრიზები. კონფერანსიე ნ. კურიხინი. პაოლო იაშვილი. ცეკვა და სხვ.

როიალთან ბ. პროზოროვსკი.

დიასახლისი ი. ი. ჟორდანია.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება კაფე ინტერნაციონალში.

1920 წ. 28 ნოემბერს
დედათა და ბავშვთა დამცველი საზოგადოება ი. ი. ჟორდანიას თავმჯდომარეობით
გაზ. „საქართველოს" შენობაში (ყოფილი „ფრასკატი") მართავს გრანდიოზულ
ლატარეა-ალეგრს

მრავალი ფასიანი და საინტერესო მოგება: ერთი საჟენი შეშა, ნახევარი დიუჟინი სკამი, ფქვილი, მანუფაქტურა, ფეხსაცმელი, შაქარი, ბრინჯი, ქათმები და სხვ

დასაწყისი დილის 10 საათზე.

შესვლა უფასოა.

(3796—2—1)

სახელმწ. თეატრი.
27 ნოემბერს
ოპერა მუშებისათვის
ქეთო და კოტე

კვირას 28 ნოემბერს აბესალომ და ეთერი. ორშაბათს 29 ნოემბერს ქართულ ენაზე ოპერა ღალატი. სამშაბათს 30 ნოემბერს მარგალიტის მაძიებელნი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (ნ. 1—1)

მოწოდება
ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.

მოუწოდებს რესპუბლიკანურ სამშობლოს შვილთ, „ზურგში" მყოფთ, რომელთაც არა აქვთ ბედნიერება ბრძოლის ველზე იარაღით დაიცვან ერის თავისუფლება და სამშობლოს დამოუკიდებლობა,—არ დაივიწყონ თავისი მოვალეობა მოსალოდნელ მტრის წინა დღეს, სასიკვდილოდ გამზადილ, ფრონტზე მდგომ თავგანწირულ მებრძოლთადმი; ჩვენი სიმშვიდე და კეთილდღეობა მათი თავდადებითა და სისხლით არის მოპოებული; ჩვენი ცხოვრება მათი სიმამაცით არის უზრუნველყოფილი, ომს თუ ავცდებით—მხოლოდ მათის თავდადებითა და სიმამაცით.

არავის არ აქვს უფლება განცხრომას და ზეიმს მიეცეს, როცა საუკეთესო შვილნი ჩვენი ქვეყნისა სიცოცხლეს სწირავს ჩვენი ბედნიერებისათვის. ისინი უკვე ფრონტზე არიან.

უშველეთ ფრონტს

სირცხვილი უგულოთა და მოღალატეთ, სხვისი სისხლით მოვაჭრეთ!

საჭიროება დიდია.

ფრონტს დახმარება უნდა. მას ალერსი ესაჭიროება.

მეომართ მოვლა და პატრონობა სჭირია.

ვისაც მოქალაქეობრივი და ეროვნული შეგნება აქვს,—დაეხმარეთ ფრონტს რითაც და რამდენიც შეგიძლიათ.

—

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი სასახლეშია მოთავსებული, სადაც ყოველ დღე მიიღება შემოწირულება. ცალკე და დამოუკიდებლათ მომქმედ ორგანიზაციების შექმნა არაა სასურველი, აპარატი ერთი და მოწყობილი უნდა იყოს.

იწრაფეთ მოიხადოთ თქვენი მოვალეობა. შეიტანეთ თქვენი წვლილი თავდაცვის საქმეში. საპროვინციო ადგილობრივ კომიტეტებმა კავშირი დაიჭირონ მთავარ კომიტეტთან.

ვისაც პირადი შრომა უნდა გასწიოს ამ უდიდეს საქმისათვის იქვე გამოცხადდენ. სამუშაო ბევრია,—განსაკუთრებით კომიტეტი არავის არ იწვევს.

ყველა ნებაყოფლობით უნდა მივიდეს.

გამარჯვება ფრონტს, სირცხვილი „ზურგს".

—

რესპუბლიკის თავდაცვის ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის დადგენილებით:

1) ხვალიდან ქუჩებში დაიდგმება ყუთები, სადაც მოგროვდება წაკითხული და ახალი გაზეთები, რომელნიც ყოველ დღე ეგზავნება ფრონტს.

2) რედაქციებს დაევალა თხოვნა, რათა კომიტეტის მოღვაწეობას ყურადღებით მოეკიდონ და ფართო მასას გააცნონ სიდიადე ფრონტზე მყოფთა, დახმარების საჭიროება და აუცილებლობა.

გაკოტრება

კომუნისტების ანარქიას რუსეთში ჰკვებავდა კონტრ-რევოლუციური საფრთხე, რომელიც მას ევლინებოდა ხან ალექსეევის, ხან დენიკინ-იუდენიჩ-კოლჩაკის, ხან ვრანგელის დროშის ქვეშ. ჩვენთვის მუდამ ცხადი იყო, რომ ამ გენერლების მოღალატეობრივი ავანტიურა არის იმისი მთავარი მიზეზი, რომ კომუნისტური დიქტატურა სამშობლოს თავდაცვის ცენტრში იდგა და ერთნაირ პოპულიარობის სხივში იყო გახვეული. ვრანგელის ფრონტის ლიკვიდაციით რუსეთს თავიდან მორდება კონტრ-რევოლუციის პირდაპირი საფრთხე. თუ ასეთივე საფრთხე ისევ არ მოევლინა რუსეთს სხვა რამ სახით, რუსეთმა დღეს უნდა იფიქროს ექვსი წლის ნგრევის შემდეგ თავის კეთილდღეობის აღდგენაზე და აწეწილ ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებაზე. როგორც კი ამ მიზნის განხორციელებას მოჰკიდებს ხელს ხალხი, მაშინვე გამოჩნდება რომ ეკონომიური პირობები ცხოვრების სინამდვილე და ის კულტურული დონე, რომელზედაც იმყოფება დღეს რუსეთი, ყველა ეს თითონვე მოითხოვს კომუნისტური რეჟიმის შეცვლას და საბჭოთა წესი ან ნელ-ნელა ფერს იცვლის, ხალხის ცხოვრებას შეეგუება და თავის წინააღმდეგობით იქცევა, ან, თუ ამას არ მოინდომებს, უნიადაგო გამოდგება და ძალდატანებით იქნება თავიდან მოშორებული. მრავალი ფაქტები გვიჩვენებენ, რომ რუსეთისათვის უფრო მოსალოდნელია პირველი გზით წასვლა. უკანასკნელი ამის მაჩვენებელ ფაქტთაგანია ის, რომლის შესახებაც ცნობას იძლევა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელის ბიურო და რომელიც ეხება საბჭოთა რუსეთის და ევროპის კაპიტალისტთა ურთიერთობას.

როგორც ეს ცნობა გვიჩვენებს, საბჭოთა რუსეთის მესვეურთ შეუგნიათ, რომ რუსეთის არსებობა შეუძლებელია საწარმოო ძალთა განვითარების გარეშე. მაგრამ საწარმოო ძალთა განვითარებას აქვს თავისი საკუთარი კანონები, საკუთარი ისტორიული მოთხოვნები, რომელსაც ვერ გადაახტება და ვერ შეებრძოლება ვერავითარი ადამიანის თავიდან გამოგონილი თეორია და დოგმა. ეს თეორია და დოგმა უნდა გაკოტრდეს ეკონომიურ სინამდვილესთან ბრძოლაში.

ის „ეკონომიური და იურიდიული პირობები", რომლებიც მოსკოვის სოვნარკომს შეუმუშავებია წარმოების გასამართლებლად რუსეთში, ამ ჭეშმარიტების თვალსაჩინო დამტკიცებას წარმოადგენს. ეს პირობები, თუ კი სოვნარკომმა განახორციელა თავისი პროგრამა, ნიშნავს საბჭოთა რუსეთის ეკონომიური პოლიტიკის ძირითადათ შეცვლას; ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ექსპროპრიაციაზე და სარჩო-საბადებლის განაწილებაზე აგებული პოლიტიკიდან უნდა გადავიდეს ღირებულების შექმნის და წარმოების პოლიტიკაზე; ეს იმის მაუწყებელია, რომ რუსეთში უნდა გაკოტრდეს ანარქისტული კომუნისტური ფორმა „სოციალიზმისა", რომელსაც სიმდიდრის ცენტრი გადააქვს სიმდიდრის განაწილებაზე და რომელიც უყურადღებოთ სტოვებს ან ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს სიმდიდრის შექმნას.

სოვნარკომის მიერ შემუშავებული ყველა პირობები გვიჩვენებენ, რომ მათი ავტორები ორივე ფეხით დგანან კერძო პირთათვის კონცესიების გაცემის ნიადაგზე. კერძო კონცესიონერს ეძლევა სხვადასხვა პრივილეგიები, კონცესიონერს ეთმობა პროდუქტის ნაწილი, კონცესიები ეთმობათ დიდი ხნით, ერთის სიტყვით, მოსკოვის მთავრობა მზად არის მრავალი მიმზიდველი პირობა დასდოს, ოღონდ კი როგორმე მოიზიდოს რუსეთში საზღვარ-გარეთელი კაპიტალისტები. მეოთხე მუხლში რუსეთის მთავრობა აი რას აღუთქვამს მათ: მთავრობა „გარანტიას იძლევა, რომ წარმოებაში ჩადებული კონცესიონერების ქონება არ განიცდის არც ნაციონალიზაციას, არც რეკვიზიციას, არც კონფისკაციას".

ეს კიდევ ცოტაა. ახალი სისტემა, რომელიც საბჭოთა რუსეთს შემოაქვს ამ „პირობების" მიღებით, მოითხოვს ახალს მუშათა პოლიტიკასაც. დღევანდელ საბჭოთა რუსეთში, როგორც ვიცით, „გააუქმეს" პროლეტარიატი, „გააუქმეს" დაქირავებული შრომა. ყოველი მოქალაქე არის მუშა, რომელიც სახელმწიფოს სასარგებლოდ მუშაობს. სოვნარკომის მიერ შემუშავებული „პირობები" ისევ აკანონებენ დაქირავებულ შრომას. მეხუთე მუხლი ჰპირდება, რომ „კონცესიონერს უფლება მიეცემა დაიქირაოს მუშები და მოსამსახურეები თავის წარმოებისათვის რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე". ეს „პირობა" სრულიად აბათილებს იმ „სოციალურ რევოლუციას", რომელიც ბოლშევიკების წარმოდგენით 1917 წლის ოქტომბრიდან მოხდა რუსეთში. აქ ისევ ჩნდება კერძო კაპიტალზე მომუშავე დაქირავებული პროლეტარიატი, რომელიც „გააუქმეს" „კომუნისტური" დეკრეტებით.

ნუ ჰგონიათ საბჭოთა რუსეთის მესვეურთ, რომ ის „პირობები", რომლებსაც ისინი უდებენ კერძო კაპიტალისტებს, მხოლოდ პატარა დათმობაა: კერძო კაპიტალის გაჩენას, კერძო წარმოების გაჩაღებას, დაქირავებულ მუშაობაზე აგებულ მეურნეობას აქვს საკუთარი ლოღიკა, რომელიც პირველი ნაბიჯებისთანავე მოითხოვს მთელი ცხოვრების, მთელი სახელმწიფოებრივი სისტემის შეცვლას. და ეს შეცვლა იქნება სრული კოტრობა ბოლშევიკური კომუნიზმისა, მისი სრული კაპიტულაცია ისტორიულ აუცილებლობის წინაშე.

სახალხო უნივერსიტეტის საჭიროებანი

სახალხო უნივერსიტეტის საქმეების სათანადო დონეზე დაყენება არ არის ადვილი საქმე, განსაკუთრებით, თუ გავცილდებით იმ პაწია ფარგალს, რომელ-

დღეს

ლიონის ცნობით საფრანგეთი არ ცნობს საბჭოთა მთავრობას, მაგრამ იგი მზად არის ნება დართოს ფრანგ ვაჭრებს და მრეწველებს სავაჭრო დამოკიდებულება იქონიონ რუსეთთან.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლონდონს გაემგზავრა. მისი სიტყვით საბერძნეთის საკითხში მოკავშირენი შეთანხმებულად იმოქმედებენ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განკარგულებით დააპატიმრეს ადელხანოვის საქციონერო საზოგადოების გამგეობის დირექტორი ტერ-არუთინოვი იმ საბოტაჟის გამო, რომელიც წინ სამხედრო უწყების მიერ შეკვეთილ საქონლის დამზადებაში გამოიჩინა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან.

პოლკოვნიკმა ქიაზიმ-ბეიმ წარმოუდგინა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოსმალეთის დიდი-ნაციონალური კრების მთავრობის საგარეო საქმეთა კომისრის აჰმედ-მუხტარის დეპეშის პირი, შემოწმებული ქიაზიმ კარაბექირის მიერ, რომლის თანახმად ანგორის მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში დაინიშნა ქიაზიმ-ბეი.

შიც ჩვენ ვაწარმობდით ამ საქმეს რევოლუციამდის. მაშინ თვით უნივერსიტეტის ორგანიზაციის საფუძვლათ ქველმოქმედება იდვა. ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც მაშინდელ მთავრობის კლანჭებისაგან თავისუფალი იყო და რომელსაც მაინც სურდა თავის წვლილი შეეტანა ხალხის განათლების საქმეში, რომ მომავალ აშენებლობაში იმასაც რაიმე მონაწილეობა ჰქონოდა, თავისუფალ დროს კვირაში თუ თვეში ერთ-ორ საათს სწირავდა ამ საქმეს. საქმე მეტათ ვიწრო ფარგალში იყო მოთავსებული, მაგრამ სამაგიეროთ, მართალი უნდა ვთქვათ, მაშინდელი მუშაკნი მსხვერპლის გაღების სურვილით მჭიდროთ იყვნენ შეკავშირებულნი ერთმანეთში, არავითარ ანგარებას, არავითარ ანგარიშს ამ საქმეში ადგილი არ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, მსხვერპლი კარგი რამ არის, მაგრამ ეხლა ამ დონეზე საქმის დაწყება არ შეიძლება, რადგანაც თვით უნივერსიტეტსაც ფართო ასპარეზი აქვს და მშრომელ მასასაც კარი ღია აქვს მეცნიერების ტაძარში შესასვლელათ. ამიტომ — თანამედროვე სიძვირე და გაჭირვებაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში,—მაინც საქმე შრომის დაჯილდოვების ნიადაგზე უნდა იყოს დაწყობილი.

მართლაც და ძველ დროს თუ ლექტორი ორიოდე თავისუფალ და საღ აზრს გაუზიარებდა მსმენელებს, ესეც დიდი საქმე იყო, ვინაიდან მათ ეს აზრები არსად არ ესმოდათ. ეხლა კი ამითი ლექციის ამოწურვა არ შეიძლება. ეხლა საჭიროა ფართო და ღრმა ცოდნა ყოველი საგნისა, მასალის ზედმიწევნით შესწავლაზე დაფუძნებული. ამას კი გულდადებული, სერიოზული მომზადება სჭირდება ლექტორის მიერ.

მართალია, სახალხო უნივერსიტეტი არ არის უმაღლესი სასწავლებელი და ამ ორ დაწესებულებაში მუშაობის გეგმები სულ სხვა და სხვაა, მაგრამ არც ის იქნება მართალი, როგორც ზოგსა ჰგონია, თუ ვიტყვით, რომ სახალხო უნივერსიტეტი თავისი გეგმით საშუალო სასწავლებელს უნდა გაუთანასწორდეს.

არც ფაქტიურათ და არც არსებითათ ეს აზრი სწორი არ არის. რაც უნდა იყოს სახალხო უნივერსიტეტს საქმე აქვს უკვე ცხოვრებაში გამოსულ და ჩახედულ, ხშირათ ცხოვრებაში გამოცდილ და დატანჯულ ხალხთან. ცხოვრების ავ-კარგი მათ უკვე იციან. ამიტომ ყოველი ცოდნა მათ შეურჩევლათ შეიძლება მიაწოდოს ლექტორმა. ამიტომ სახალხო უნივერსიტეტის ლექციებში უნდა ამოწურული იყოს უმაღლესი მეცნიერება მისი მრთელი სიღრმე მოცულობით.

მაგრამ ამასთანავე სახალხო უნივერსიტეტის მსმენელი განსწავლული არ არის და ამიტომ ყოველი მასალა ცოდნის—მას უნდა მიეცეს მარტივი, მდაბიო ენით. პრაქტიკულ ცხოვრებასთან შეფარდებით და მასალის უაღრეს კონკრეტიზაციით. ამ მხრივ სახალხო უნივერსიტეტის ლექტორობა ერთი მხრით რომ მეცნიერულ მომზადებას მოითხოვს, მეორე მხრით განსაკუთრებულ ხელოვნებასაც წარმოადგენს, ხელოვნებას, რომელიც გაირჩევა უმაღლეს სასწავლებლის პროფესსორობისაგანაც და საშუალო და დაბალი სკოლის მასწავლებლობისაგანაც. ამას მაშასადამე გარდა მომზადებისა, თავისებური გამოცდილება და პრაქტიკაც ესაჭიროება.

რა თქმა უნდა ყველაზე უკეთესად ამ საქმისათვის უმაღლესი სასწავლებლის პროფესსორი გამოდგება, ვინაიდან მას მეცნიერული მომზადება უკვე აქვს და პრაქტიკას მალე შეიძენს, ვინაიდან ლექციების კითხვაში გამოცდილება და აუდიტორიასთან შეთვისების და შეწყობის უნარი უნდა უკვე შეძენილი ჰქონდეს. მეორე გიმნაზიის მასწავლებლები, მხოლოდ საუკეთესონი მომზადებისა და ცოდნის მხრივ თავის საგანში. აქედან აშკარაა, რომ ამგვარი ხალხის შრომა, განსაკუთრებით, თუ მივიღებთ მხედველობაში საქმის სირთულეს, უნდა სათანადოთაც დაფასდეს.

მაგრამ, უნდა ვსთქვათ, რომ ამჟამად იმდენად თვით ლექციის წაკითხვის დაფასებაზედ არ უნდა ვილაპარაკოთ, რამდენადაც იმ აუარებელ დაბრკოლებებზე და სიძნელეებზე, რომლის დაძლევაც უხდება თვითოეულ ლექტორს ცალკე და სახალხო უნივერსიტეტის ხელმძღვანელთ საზოგადოთ. არავინ, ვინც კი სახალხო უნივერსიტეტთან ძლიერ დაახლოვებული არ არის, არ იცის, თუ რა პირობებში უხდება ლექტორს განაპირა უბნებში სიარული, ისეთ უბნებში, სადაც არც სინათლეა, არც ქუჩებია მოკირწყლული, არც ტროტუარებია, არც ტრამვაი—საბურთალოში, ერთობის უბანში, ორთაჭალაში. ვერავითარი სასყიდელი ვერ აუნაზღაურებს ლექტორთა ენერგიას, რომელსაც ის დახარჯავს ამ რაიონებში სიარულის დროს და ვერც ენა მოგიტრიალდება საყვედურისთვის, თუ ლექტორი უარს იტყვის იქ წასვლაზე.

ამიტომ თუ ერთის მხრით სახალხო უნივერსიტეტის ლექტორობა არა თუ კვალიფიკაციური შრომაა, არამედ თავისებური პროფესიაც, რომელსაც განსაკუთრებული გამოცდილება, განსწავლა პრაქტიკა სჭირდება, მეორე მხრივ ლექტორს აქვს ისეთი სრულიად ელემენტარი საჭიროება, რომელიც სხვა დარგის მუშაკისთვის და სხვა პირობებში განცხრომად და ფუფუნებად ჩაითვლება, ეს გახლავთ ეტლებით სიარული.

თუ გსურთ, რომ ლექციები პერიოდულად იკითხებოდეს განაპირა უბნებში, არა თუ სისტემატიურად, სახალხო უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ეტლი და ამ ეტლით უნდა ატაროს თავისი ლექტორები ისეთ განაპირა უბნებში, სადაც ტრამვაი არ მიდის. ვიმეორებ ეს ისეთივე ელემენტარი საჭიროებაა სახალხო უნივერსიტეტისათვის, როგორც მაგიდა, როგორც წიგნი ყოველი ინტელიგენტი მუშაკისთვის.

გარდა ამისა, თვით ის გარემოება, რომ საქმის სირთულით სახალხო უნივერსიტეტი,—როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, არ ჩამოუვარდება თვით უმაღლეს სასწავლებელს, ამისდაგვარი ბინაც სჭირდება მას, თუ გვინდა, რომ რიგიანად იყოს იგი მოწყობილი. დღემდის სახალხო უნივერსიტეტზე ისეთი წარმოდგენაა ჩვენში გავრცელებული, ვითომდა მას სჭირდებოდეს ერთი, ან ორი აუდიტორია, შეიძლება უკეთეს შემთხვევაში მიეცეს კიდევ ერთი ოთახი გამგეობისა და კანცელარიისთვის და კმარა. ეს აზრი გავრცელებულია იმ მიზეზით, რომ სახალხო უნივერსიტეტის მეტის-მეტი დიდი მნიშვნელობა ხალხისა და სახელმწიფოსათვის, დაახლოვებითაც კი არა გვაქვს შეგნებული. სიტყვით ბევრჯერ გაიგონებთ, რომ სახალხო უნივერსიტეტი დიდი საქმეაო, დიდად საჭიროაო, მაგრამ საქმით კი მართლაც მისი დიდი საჭიროება ძლიერ და ძლიერ ცოტასა აქვს შეგნებული. ეს რომ ასე არ იყოს, ყველას ეცოდინებოდა, რომ სახალხო უნივერსიტეტს ისევე, როგორც სახელმწიფოს, სჭირდება ლაბორატორიები, კაბინეტები და ამას გარდა სახელოსნოები, ოთახები პრაქტიკული ვარჯიშობისათვის და სხ.

საზოგადო გეგმა სახალხო უნივერსიტეტში მეცადინეობისა ამას აუცილებლივ მოითხოვს, ვინაიდან, თუ დაახლოვებით ოთხ სემესტრზე გავანაწილეთ მთელი კურსი, პირველი ორი სემესტრი დასჭირდება საზოგადო საგნების მოსმენას და აუდიტორიების რიცხვი დამოკიდებული იქნება ფაკულტეტთა რაოდენობაზე. (ამ ჟამად ორი ფაკულტეტია მხოლოდ ბინისა, ფულის და ძალების უქონლობის გამო). მეორე კურსზე კი ჩვენი გეგმით მრავალი ახალ-ახალი დარგი შემოდის: ჯერ ერთი იმდენივე ფაკულტეტი რჩება, რამდენიც პირველ ორ სემესტრზე, განსხვავება კი მხოლოდ იმაშია, რომ ახლა ერთი მხრივ რთულ მეცნიერებათა შესწავლა იწარმოებს და მეორე მხრივ სპეციალური საკითხებისა. ამას მიემატება ამავ კურსზე სპეციალური დარგების კურსები, რომელთა რიცხვიც დამოკიდებულია ცხოვრებაში გავრცელებულ ხელობათა დარგების რიცხვზე და სახალხო უნივერსიტეტის ნივთიერ და სხვა სახსარზე. საკოოპერაციო კურსები, სამეურნეო, სატექნოლოგიო, სამუსიკო—კონსერვატორია და მრავალი სხვა—ყველა ეს სახალხო უნივერსიტეტში უნდა იყოს გახსნილი, თუ გვინდა, რომ ეს დაწესებულება მართლაც შეეფერებოდეს ცხოვრების მიერ წამოყენებულ მშრომელი დემოკრატიის საჭიროებას.

ამის მიხედვით რომ ვივარაუდოთ, სახალხო უნივერსიტეტს ბინაც დიდი და ფართო დასჭირდება, მეტადრე თუ არ დავივიწყეთ, რომ უნივერსიტეტს თავისი წიგნთსაცავი და სამკითხველოც აქვს, რომელიც უნდა გაფართოვდეს, მსმენელთა კლუბის დაარსებაც დასჭირდება, რომელსაც ცალკე ბინა დასჭირდება. ყველა ზემოდ ნათქვამი მკრთალი სურათია იმისა, რაც უნდა იყოს სახალხო უნივერსიტეტი.

აქედან ცხადადა სჩანს, რა დიდი დაწესებულებაა ეს რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას და რა დიდი შრომა სჭირდება მის მოვლას.

მანამდის კი სახალხო უნივერსიტეტი ისეთ საცოდავ მდგომარეობაში ეარსებებს, რომელშიაც ეხლა არსებობს ორიოდე მასზე გულშემატკივარი ადამიანის სინაზარად.

ნ.

გერმან. დამოუკიდებელთა ყრილობის გაკვეთილები

(ჟან ლონგეს სტატია „ჰუმანიტეში“)

ყრილობის მთავარი საკამათო საკითხი მოსკოვის პირობების მიღება კი არ იყო,—ნამდვილათ ეს იყო მეორე ხარისხოვანი საკითხი. ყრილობის ობიექტიური და მძიმე შედეგი არის რასკოლი და არევ დარევა გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. დაიმსხვრა პარტია, რომელიც გმირული ღონისძიებებით იყო შექმნილი ომის დროს,—მთელ რიგ პატივცემულ მებრძოლების მიერ, როგორებიც იყვნენ ჰაზე და კურტ ეისნერი, როგორებიც არიან ლედებური, კრისპინი, დიტმანი, ჰილფერდიგი და ბევრი სხ.

ამ დიდ პარტიაში ყრილობამდე 1 მილიონამდე წევრი ითვლებოდა. ივნისში მომხდარ არჩევნების დროს მან მიიღო 5 მილიონი ხმა. ის თანდათანობით ართმევდა ხმებს შეიდემანის და მიულერის ძველ პარტიას. ის ვაჟკაცურათ ებრძოდა ლიუდენდორფის და ჰინდენბურგის იუნკრულ რეაქციას. სტინესების თავხედ და მკაცრ კაპიტალიზმს, „ლოკალ ანცეიგერის“ და „დოიტშე ცეიტუნგის“ მსგავს გაზეთების შოვინისტურ გამოსვლებს. ის შეიცავდა პროლეტარულ გერმანიის ინტერნაციონალურ რევოლიუციონურ სიძლიერეს. როგორც კრისპიენმა აღნიშნა თავის სიტყვაში, პარტია სცდილობდა მიეღწია ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვამდე საფრანგეთის და ინგლისის პროლეტარიატთან შეთანხმების გზით, და არა "ნაციონალ-ბოლშევიზმის" სისხლიან ავანტიურის გზით, რომლის სახიფათო უაზრობა რეინს იქით მცხოვრებ ყველა წინ დახედულ კაცს აქვს შეგნებული.

ასეთ დიდ სოციალისტურ და რევოლიუციონურ ორგანიზაციის დანგრევამ ასიამოვნა რეფორმისტები „ფორვერტსი“-ს ბანაკიდან, რომლებსაც იმედი აქვთ თავის პარტიის რიგების შევსებისა თავის გუშინდელ მეტოქეთა დარღვეულ რიგებიდან წამოსულ პირებით. ეს ბოროტ-მოქმედება გერმანიის და საერთაშორისო სოციალიზმის წინაშე კიდევ უფრო გაახარდა კაპიტალისტურ რეაქციას.

ვინ არის ამის გამო პასუხისმგებელი? ამაზე არავითარი ეჭვი არ არსებობს. ვინ მისცემს თავის თავს ნებას უსაყვედუროს კრისპიენს, დიტმანს, ჰილფერდინგს მათ მიერ ყრილობის დატოვება მაშინ, როდესაც იგი შეუდგა მათ გამორიცხვის ზომების განხილვას. და მართლაც სიტყვების აზრის დამახინჯებას ჰნიშნავს, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თვით დაცვის გრძნობის ეს უბრალო გამოხატულება პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ არის მიმართული.

როგორია ეხლა ძალთა განწყობილება. ეგრეთ წოდებულ „მემარცხენე“ დამოუკიდებლებს 400 ხმიდან ჰქონდათ 66 ხმით უმრავლესობა. ეს უმრავლესობა წარმოადგენდა 110,000 პარტიის წევრს. უმცირესობას „მემარჯვენეები“ წარმოადგენდენ 90,000 წევრს. სულ, ამრიგათ,— პარტიის 900.000 წევრიდან თავისი აზრი გამოსთქვა 200,000 კაცმა. რას ჰფიქრობენ დანარჩენი 700,000, რომლებმაც არ მიიღეს მონაწილეობა კენჭის ყრაში? რას მოიმოქმედებენ ისინი ყრილობის მეორე დღეს?

ბერლინში პარტიას ჰყავდა 100,000 წევრი.—მათგან 32.000 მიეხრო მოსკოვის პირობებს, 27,500—მათი წინააღმდეგი იყო. ლაიპციგში, სადაც პარტიას 60,000 წევრი ჰყავს, 12,000-მა მოსკოვის წინააღმდეგ მისცა ხმა, 8000-მა—სასარგებლოთ. რას ჰფიქრობენ დღეს და რას გააკეთებენ ხვალ ის 40,000 ათასი პარტიის წევრი. ბერლინში და 40,000 ლაიპციგში, რომლებმაც ხმის მიცემაში არ მიიღეს მონაწილეობა?

უმრავლესობის დელეგატთა შორის არის რამდენიმე ძველი მებრძოლი, როგორც ადოლფ ჰოფმანი, არიან გულწრფელნი მუშაკნი როგორც დეიმიგი, პატიოსანი ადამიანი, თუმცა საერთოდ მესამე ხარისხოვანი პიროვნება, ან შტეკერი, რომელიც ომის დროს გატაცებული შოვინისტი იყო და ენერგიულათ ეწეოდა აგიტაციას ლოზუნგის „ომი გამარჯვებამდე“-ს სასარგებლოთ.

შემდეგ არის ძალიან დიდი რიცხვი „ოქტომბრის სოციალისტებისა“, როგორც იმათ ეძახიან, ე. ი. ისეთ ამხანაგებისა, რომლებიც ჩაეწერენ პარტიაში მხოლოდ ვილჰელმის ჩამოგდების შემდეგ, 1918 წელს.

უმცირესობის მხარეზე კი არიან პარტიის ყველა საუკეთესო ძალები: „სიტყვის ნაზი ხელოვანი, როგორიც არის კრისპიენი, დიტმანი, ყოფილი დურგალი, სალტიკი და ჭკვიანი სახით, რომელსაც პეტროგრადის „პრავდა“ ერთ დროს ევლებოდა, როგორც თანამებრძოლს და ლიბკნეხტის მხარეზე მებრძოლ გმირს. დიტმანი, ცოცხალი და ენერგიული ბელადი პროფესიონალურ მოძრაობისა, რომელმაც შეძლო გაეთავისუფლებინა ლენინის გავლენისაგან ლითონზე მომუშავეთა ძლიერი ორგანიზაცია, სადაც ითვლება 1,100,000 წევრი. მეტყავეების წარმომადგენელი—სიმონი, და 20—30 სხვა წარმომადგენლები მუშათა ინტელიგენციისა, რომლებმაც შესძლეს თავის კავშირებში რევოლიუციონურ სოციალიზმის პოზიციების გამაგრება. შემდეგ, უმცირესობის მხარეზე დგანან ისეთი დიდი ინტელექტუალური ძალები, როგორც ჩვენი სოციალიზმის მასწავლებელი კ. კაუცკი, ჰილფერდინგი, რომელსაც ჟორესი ერთ თავის უკანასკნელ საპარლამენტო სიტყვაში მიესალმა, როგორც უდიდეს სოციალისტურ ეკონომისტს მარქსის შემდეგ. მჭერმეტყველი როზენფელდი, მოხუცი ლედებური, რომელმაც 71 წელზე შეინარჩუნა ცხარე რევოლიუციონური ტემპერამენტი. ამ ლედებურის შესახებ სთქვა კონგრესზე ზინოვიევმა, რომ ის „რაღაც სასწაულით გადაურჩა იმ ხვედრს, რომელმაც იმსხვერპლა როზა ლიუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტიო“.

იქვეა მთელი რიგი ცნობილ ქალ-პროპაგანდისტებისა: ენერგიული ლუიზა ციცი, ბერლინის დეპუტატი ქალი, ელენა ვურმი, ტიურინგიის დეპუტატი, ქვრივი ამ ბოლო დროს გარდაცვლილ პარტიულ მოღვაწისა, ფრანკფურტის დეპუტატი ტონი სენდერი...

მე კარგათ ვიცი, რომ მერიკი (მობალშევიკო საფრანგეთის სოციალისტი) იმისდამიხედვით, რასაც ის სწერდა „პოპიულიერ“-ში და „ჰუმანიტე“-ში, ამის გამო შემდეგს იტყვის: „რა მნიშვნელობა აქვთ ამ სახელებს, რა დაგვრჩენია ჩვენ დებსთან, ფრიც ადლერთან, სერატისთან, მორის ხილკვიტთან, მაკდონალდთან“. მართლაც და თავის ამპარტავნობის უდიდეს განვითარებას უნდა მიაღწიოს ადამიანმა, ანდა მან უნდა შეეძლოს ყველაზე დაბალი დემაგოგიის წარმოება, რომ მან უთხრას სოციალისტურ მასებს, თითქოს იმათ სრულიადაც არ უნდა აინტერესებდეს ღრმათ მოფიქრებული და განცდილი შეხედულებანი ინტერნაციონალის საუკეთესო თეორეტიულ ძალების და უკეთილშობილეს ადამიანების...

ერთი სიტყვით ეგრეთ წოდებულ „მემარჯვენეების“ მხარეზეა ყველა ორგანიზატორები, საუკეთესო ჟურნალისტები, პროფესიონალურ მოძრაობის ყველა მოღვაწენი. მათ 50 პარტიულ ყოველდღიურ გაზეთებიდან—ეკუთვნის 40 გაზეთი. მათ ემხრობა პარლამენტის 82 დეპუტატიდან—60 დეპუტატი. სხვების კი, რომლებიც მეტად რევოლიუციონურათ არიან განწყობილი მეტად მორჩილნი და გამგონენი არიან თავის მოსკოველ ბატონების,—მათ სრულიად არა აქვთ გამოცდილება სოციალურ ბრძოლაში, არა ჰყავთ მედგარ პარტიულ მუშაკების კადრი, არც ერთი პირველხარისხოვანი ხელმძღვანელი.

ცხადია, რომ აქ არ არის გამარჯვებული მხარე,—როგორც სწორედ აღნიშნა ჰილფერდინგმა, არის მხოლოდ ერთი დამარცხებული—ეს არის გერმანიის პროლეტარიატი. ამ საშინელ კონვულსიების შორის იგი, ოთხ ან ხუთ ნაწილად გაყოფილი, განწირულებით იბრძვის თავის მთლიანობის გასამაგრებლათ, რომელიც მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლაშია შენარჩუნებული.

დიდ რისხვას იწვევს მასაში ჩუქარამის პროფესიონალურ ორგანიზაციის განადგურების იმ მიზეზით, რომ ვითომდა „საჭიროა ბრძოლა ყვითელ ამსტერდამის ინტერნაციონალის წინააღმდეგო“. ამ რისხვამ ჰპოვა თავისი გამოხატულება იმაში, თუ როგორი პასუხი გასცეს უშიშარ ლოზოვსკის გულუბრყვილო სიტყვებს მასსებმა.

განა უნდა ითქვას, რომ საკითხი რასკოლის შესახებ ჩვენში სულ სხვანაირათ დადგება, ვიდრე გერმანიაში?

ჩვენმა პარტიამ აქამდის შეინარჩუნა მუშათა კლასის პოლიტიკური მთლიანობა,—ეს საუკეთესო და ძვირფასი მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ დიდებულმა ჟორესმა. რაც შეეხება გერმანიის სოციალიზმს, ის 1917 წ. მარტიდან უკვე მეხუთეთ იყოფა. ვინც ერთხელ შესდგა განხეთქილების გზაზე,—იგი უკვე ვეღარ შეჩერდება.

დამფუძნებელი კრება

24 ნოემბრის სხდომა.

(დასასრული)

პ. საყვარელიძე. ჩვენი კონსტიტუციის პროექტის ძალით ხალხი პერმანენტურათ არის მატარებელი სახელმწიფო საკონსტიტუციო უფლებისა. მეორე დამახასიათებელი თვისება ჩვენი კონსტიტუციისა ის არის, რომ ჩვენ შემოღებული გვაქვს ინიციატივის უფლება, მოქალაქეს შეუძლია შეიმუშაოს პროექტი კანონისა და პარლამენტი ვალდებულია ის განიხილოს. მეორეს მხრით—მოქალაქეს შეუძლია ყოველივე კანონი პარლამენტის მიერ მიღებული—მოითხოვოს ხალხის სარეფერენდუმოთ, დასადასტურებლათ. თუ ხალხმა უარყო რომელიმე კანონი, მაშინ ის ძალაში არ შევა. ხალხის ხელმწიფება გამოხატულია ამ ორ დიდ პრინციპში. ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ ხალხის ხელმწიფებას იურიდიული საფუძველი არ ექნებოდა. მე არ ვილაპარაკებ იმაზე, რომ ჩვენი პარლამენტი ერთ პალატიანია, არც იმაზე, რომ პარლამენტი არჩეულია საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭის ყრით, არ ვილაპარაკებ არც იმაზე, რომ ჩვენში ქალებსაც აქვთ ხმის მიცემის უფლება.

როგორი დამოკიდებულებაა ჩვენი კონსტიტუციის ძალით ხალხსა და პარლამენტს შორის?—ხალხი ირჩევს პარლამენტს. როგორი დამოკიდებულებაა მთავრობასა და პარლამენტს შორის? მთავრობას ჩვენი კონსტიტუციის ძალით ირჩევს პარლამენტი და ირჩევს შემდეგი წესით: პარლამენტი ირჩევს მთავრობის თავმჯდომარეს, ის კი იწვევს მინისტრებს. შეიძლება მინისტრი აყვანილ იქნას პარლამენტიდან, შეიძლება მოწვეულ იქნას გარეშე პირიც. ეს დამოკიდებულია მთავრობის თავმჯდომარისაგან. როდესაც კაბინეტი მზად იქნება—მთავრობა დეკლარაციით გამოდის პარლამენტის წინაშე. ასეთია პრემიერული სისტემა.

რა უფლება აქვს მთავრობას? ის მმართველობს და ასრულებს კანონებს, მიღებულია პასუხისმგებლობის პრინციპი. მაგრამ პასუხისმგებლობა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირია. ახალი კონსტიტუცია არის ჩეხო-სლოვაკიაში. იქ მიღებულია ასეთი პასუხისმგებლობა მთავრობა გადადგება მაშინ, როცა პარლამენტის დამსწრე უმრავლესობა უნდობლობას გამოუცხადებს მას. ჩვენი კონსტიტუციის ძალით პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელია მთავრობა როგორც მთლიანად, ისე პიროვნულად, ე. ი. თვითეული მინისტრი ცალ ცალკე. მთავრობა, ან მინისტრი გადადგება მაშინ, როცა პარლამენტი გადაჭრით გამოუცხადებს უნდობლობას.

მთავრობა განსაზღვრავს პოლიტიკის საერთო ხაზს, მიმართულებას. თვითეულ მინისტრს აბარია თავისი საქმე, უწყება, და ის ამ სფეროში პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ამ რიგათ ჩვენში განხორციელებული იქნება როგორც მთლიანი, სოლიდარული პასუხისმგებლობა, ისე პიროვნული პასუხისმგებლობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენს ხალხს აქვს ორნაირი ინიციატივის და ორნაირი რეფერენდუმის უფლება. უდიდესი კითხვაა—თუ ვის უნდა ჰქონდეს კონსტიტუციის გადაშინჯვის უფლება. ეს უფლება ჩვენში აქვს ხალხს. ხალხი ამ უფლებას ახორციელებს ინიციატივით და რეფერენდუმით, მაშასადამე, ჩვენში ხალხს აქვს არა მარტო საკანონმდებლო ინიციატივა, არამედ—საკონსტიტუციო ინიციატივის უფლებაც, არა მარტო საკანონმდებლო რეფერენდუმის უფლება, არამედ—საკონსტიტუციო რეფერენდუმის უფლებაც.

ჩვენი კონსტიტუცია სამუდამოდ არ იწერება. შესაძლებელია მომავალმა თაობამ ის არ მოიწონოს, ან შეცდომები დაინახოს და ესა თუ ის მუხლი კონსტიტუციისა შესცვალოს, მაგრამ არის ჩვენს კონსტიტუციაში ერთი მუხლი, რომლის გადაშინჯვის, ან შეცვლის უფლება არავის აქვს, ის არის მუდმივი და უცვლელი. ეს მუხლი გახლავთ თვით ფორმა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილებისა, ჩვენ მივიღეთ ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა, ეს მუხლი გადაუშინჯველია, ამ მუხლის გადაშინჯვა არ შეიძლება კანონმდებლობის, უფლებრივის, ლეგალური გზით.

რატომ?

თუ გაითვალისწინებთ ისტორიას დასავლეთ ევროპის კონსტიტუციებისა, დაინახავთ, რომ კონსტიტუცია, უფლება მთელი საუკუნის ხანგრძლივი ბრძოლის ნაყოფია. დემოკრატია, სადაც მან გამარჯვებას მიაღწია, ცდილობს კანონში შეიტანოს მუხლი, რომლის ძალით ძირითადი პრინციპი უცვლელია, გადაუშინჯველია. ასევე ცდილობენ მონარქისტებიც. უკანასკნელნი ცდილობენ, სადაც კი ეს შეუძლიათ, ძირითადი მუხლები კონსტიტუციისა კანონიერის გზით, ლეგალური გზით გადაუშინჯველი გახადონ. საფრანგეთმა 1793 წ. შეიმუშავა კონსტიტუცია, სადაც შეიტანა მუხლი, რომ რესპუბლიკანური ფორმა წყობილებისა გადაუშინჯველია.

დღეს არც ერთ ქვეყანაში არ არის ისეთი რესპუბლიკანური წყობილება, რომელსაც კონსტიტუციაში არ ეწეროს, რომ კანონიერი გზით, ლეგალური საშუალებით არც ერთ ჯგუფს, პარტიას არ შეუძლია შეიტანოს წინადადება ამ ძირითადი მუხლის გადაშინჯვის შესახებ. ეს არის უფლებრივი გარანტია. რატომ ვიცავდებით ასე დემოკრატიულ რესპუბლიკის ფორმას?

იმიტომ, რომ ამ ფორმაში საუკეთესოდ იხატება ხალხის თვითმპყრობელობა, ხორციელდება სოციალური სამართლიანობის შინაარსი. ჩვენის აზრით სოციალისტური წყობილება სავსებით ჩაეტევა დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში.

გზადაგზა მომხსენებელი ეხება საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციას და ამტკიცებს, რომ არ არის მართალი რუსეთში პარლამენტარიზმი არ იყოს, პირიქით, ბოლშევიკებმა შემოიღეს თავისი საბჭოების სახით უცუდესი ფორმა პარლამენტარიზმისა. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს კონსტიტუციის პროექტის იმ მუხლებს, რომელნიც ეხებიან სოციალურ საკითხებს, სოციალურ მოვლენებს და ამბობს: ჩვენი კონსტიტუცია არ შეიცავს მარტო პოლიტიკურ მომენტს, იქ საკმაო ადგილი დათმობილი აქვს სოციალურ მომენტსაც, ჩვენი სახელმწიფოს საფუძველია მშრომელი კლასები. ამიტომ შრომა ჩვენი კონსტიტუციის მფარველობის ქვეშ არის აღებული. კონსტიტუციაში განსაზღვრულია სამუშაო დროც, არის მუხლი მუშათა დაზღვევის შესახებ, სოციალურად დაავადებულების და დავრდომილების უფლებებიც აღიარებულია და სხვ.

დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს კონსტიტუციაში აგრეთვე ერთა უმცირესობის უფლებებს. ერთა [illegible] ჩვენ მივეცით ის, რის [illegible]ლებოდა. მათი კულტურული განვითარება უზრუნველყოფილია. უმცირესობას შეუძლია აგრეთვე ისარგებლოს ინიციატივის უფლებით და პარლამენტში პროპორციული წარმომადგენლობით. მათ სრული თავისუფლება აქვთ ბეჭვდის, კრების, სიტყვის და სხვ. ეროვნულ უმცირესობათ უფლება აქვთ კულტურული კავშირების დაარსების, ჩვენ მათ ვაძლევთ აგრეთვე სასკოლო ბიუჯეტის უფლებას. თვითმართველობებში თუ განსაზღვრულ პროცენტს წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი, მათ უფლება ეძლევათ მოითხოვონ სახელმწიფო ენის გვერდით თავისი დედა-ენაზე მსჯელობა. ჩვენ მხოლოდ ვერ შევძელით მათთვის საგარეო უფლებების მიცემა. ეს რომ მიგვეცა, მაშინ ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობა დაირღვეოდა.

ჩვენს კონსტიტუციაში არის აგრეთვე ერთი ახალი პრინციპი. ეს შეეხება თვითმართველობებს. ჩვენში თვითმართველობები არიან თვითმართველობის და იმავე დროს მმართველობის ორგანოები.

შემდეგ მომხსენებელი ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ნაციონალური სახელმწიფოა, მას აქვს ინტერნაციონალური მიდრეკილება. ეს მიდრეკილება საქართველოს თავიდანვე ახასიათებდა, ჩვენ ვიცავთ ნეიტრალობას, იქით არავის ვეხებით; მაგრამ თუ ვინმე დაგვესხა—თავს დავიცავთ.

საერთაშორისო მშვიდობიანობის დასაცავად საჭიროა შეიქმნეს ერთი ცენტრი, ორგანო, რომელიც თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირზე იქნება დამყარებული, მე არ ვლაპარაკობ დღევანდელი ლიგის შესახებ, მაგრამ თავისუფალ ხალხთა თავისუფალი კავშირის სახით ლიგის საჭიროება ეს უდაოთ უნდა იქნას აღიარებული. ეს ორგანო იქნება გარანტია საერთაშორისო მშვიდობიანობისა. და ჩვენ სწორედ ეს პრინციპი შევიტანეთ ჩვენს კონსტიტუციაში.

უდიდესი საკითხია,—თუ ვინ უნდა განმარტოს კონსტიტუცია. სხვადასხვა სახელმწიფოებში ეს სხვადასხვანაირად არის მოწყობილი, ამერიკაში არსებობს უმაღლესი სასამართლო, რომელიც განმარტავს კონსტიტუციას, ჩეხო-სლოვაკიაში არის 7 წევრისაგან შემდგარი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც განმარტავს კონსტიტუციას და ესა თუ ის კანონი ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციას. ჩვენ უარვყავით ასეთი ორგანოს შექმნა, რადგან შეიძლება იგი დაემორჩილოს ამა თუ იმ გაბატონებული პარტიის გავლენას და კანონს ისეთი განმარტება მისცეს, რომელსაც სულ არ გულისხმობს კონსტიტუცია. ჩვენ ვერავის ვერ მივანდობთ კონსტიტუციის განმარტების უფლებას.

მაშ, სად არის გარანტია კანონმდებლობის დროს კონსტიტუციის დაცვისა? ამის გარანტიაა თვით ხალხი. ეს უფლება უნდა დარჩეს ხალხის ხელში, ის ამას განახორციელებს რეფერენდუმის და ინიციატივის საშუალებით.

დასასრულ მომხსენებელი ამბობს: კონსტიტუციის საშუალებით ჩვენი ხალხი შესძლებს განვითარდეს, ამაღლდეს კულტურულად და პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა მომავალ ხალხთა ლიგის წინაშე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მომავალი თაობა იამაყებს ამ კონსტიტუციით და ის კიდევაც დაიცავს ამ კონსტიტუციას ყოველგვარი მტრისაგან. (ტაში).

ამის შემდეგ სხდომა შეწყდა. კამათი საერთო მოხსენების შესახებ გადაიდო შემდეგი სხდომისათვის, რომელიც დანიშნულია შემდეგ კვირის ოთხშაბათს, საღ. 6 საათზე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 26.

გერმანული ცნობები

გერმანიის პროტესტი.

„დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა სრული ტექსტი გერმანიის მიერ ერთა ლიგისადმი გაგზავნილ პროტესტისა, რომელიც გერმანიის ახალშენთა მოკავშირე სახელმწიფოთა შორის განაწილებას შეეხება. გერმანია ამ ნოტაში სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ერთა ლიგამ მანდატების მთელი სისტემა უბრალო ფორმალობად გადააქცია და ნამდვილათ ეს მანდატები უფლებას აძლევს ანტანტის სახელმწიფოებს ანექსია გაუკეთონ გერმანიის ყოფილ ახალშენებსო.

საფრანგეთის სამხედრო ხარჯთ აღრიცხვა.

გერმანიის პრესა აღნიშნავს საფრანგეთის სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის გადიდებას, წარსულ წელს ეს ხარჯთაღრიცხვა უდრიდა 3,550 მილიონ ფრანკს, წელს კი 4613 მილიონ ფრანკს უდრისო.

გერმანელი ტყვეები.

ბარონ ლესნერის შეკითხვაზე მთავრობამ რეიხსტაგში განაცხადა: ავინიონში მყოფი გერმანელი ტყვეები კვლავ იმალებიან, რადგანაც სამხედრო და სამოქალაქო პირთა შეურაცხყოფას გაურბიან. 250 იმედი გამოითქვა, რომ მათ საფრანგეთის მთავრობა მოკლე დროში განთავისუფლებს.

ბავშვთა დამხმარე კავშირი.

გერმანიის ყველა პარტიის და სარწმუნოების საქველ-მოქმედო დაწესებულებებმა შეადგინეს „გერმანელ ბავშვთა დამხმარე“ კავშირი. გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა მიმართა კავშირის ყრილობას და აღნიშნა გერმანელ ბავშვთა საშინელი მდგომარეობა.

— ებერტი მადლობით იხსენიებდა ამერიკელებს, შვეიცარიელებს, სკანდინაველებსა და ჰოლანდიელებსა მათ მიერ აღმოჩენილ დახმარებისათვის.

გერმანიის მეცნიერება

შინაგან საქმეთა მინისტრმა კოხმა რეიხსტაგის შენობაში მიიღო პარლამენტის დელეგატები ტექნიკის, ხელოვნებისა და მეცნიერების. კოხმა აღნიშნა რომ გერმანიის მეცნიერება საშინელ მდგომარეობაში იმყოფება და განადგურების გზას ადგია, რადგანაც მას მატერიალური საშუალებანი ხელს არ უწყობს მთელმა ერმა უნდა შექმნას მეცნიერებისათვის საჭირო ფონდი. მთავრობამ 20,000,000 მარკა უკვე გაიღო.

ლიონის ცნობები

საბერძნეთის საკითხი

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხუთშაბათს დილით ბერტელოს თანხლებით პარიზიდან ლონდონს გაემგზავრა.

ლეიგმა იმედი გამოსთქვა, რომ საბერძნეთის საკითხში მოკავშირენი შეთანხმებულად იმოქმედებენ.

საფრანგეთი და საბჭოთა რუსეთი.

ალასრულა რა თავისი კაცთმოყვარე მოვალეობა—საფრანგეთმა ყირიმიდან გამოიყვანა 125,000 კაცი. საფრანგეთის მთავრობა არ სცნობს საბჭოთა მთავრობას, მაგრამ იგი მზად არის ნება დართოს ფრანგ-ვაჭრებსა და მრეწველებს სავაჭრო დამოკიდებულება იქონიონ რუსეთთან. საფრანგეთი პასუხისმგებლათ არა სთვლის რუსეთის რუს ხალხს თავის მთავრობის შეცდომებში. საფრან-

გეთი მუდამ ურჩევდა პოლონეთს ზომიერი და ფრთხილი ყოფილიყო.

სომხეთის საკითხი.

ერთა ლიგის საბჭომ, მიანდო სეკრეტარიატს იმ დეპეშათა პროექტის შემუშავება, რომელიც უნდა გაეგზავნოს ყველა მთავრობას და მათ შორის ვაშინგტონის მთავრობასაც იმ მიზნით, რომ გამოსძებნონ საშუალება სომხეთსა და... (დამახინჯებულია)... სამტრო მოქმედების ბოლოს მოსაღებად.

ალბანეთის შუამდგომლობა.

ალბანეთმა პირველ სხდომაზე წარმოადგინა თხოვნა ერთა ლიგაში ჩარიცხვის შესახებ. ამ შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ ალბანეთი სუვერენულად დამოუკიდებლად აღიარებულია 1913 წ. ხელშეკრულების ძალით.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

ყირიმის ევაკუაცია.

პარიზი. 24 ნოემ. ფრანგული გაზეთები იუწყებიან: კონსტანტინოპოლში მოვიდა ყირიმიდან 140,000 ლტოლვილი, საქედან სამოქალაქო მცხოვრებნი 29,000—ეული გაგზავნეს გალიპოლიაში და კუნძ. ლემნოსზე.

სომხეთ ოსმალეთის ომი.

ტფილისი. 21 ნოემ. ოსმალთა ნაციონალისტები ყარსზე შეტევას ამ ოლქში სომხეთა მიერ გამოჩენილ იმხეცით ხსნიან. სომხეთს თვით სურდა არზრუმის ხელში ჩაგდება და ამ მიზნით დაწვრილებით შემუშავა შეტევის გეგმა. ოსმალთა ნაციონალისტების სისხლის ღვრის პასუხის მგებლობას აწერენ სომხეთს და მათ მფარველ იმპერიალისტებს.

ბოლშევიკური ნგრევა და შენება.

„პრავდა“ ს მოწინავე სწერს: ჩვენი ქვეყნის დაშლამ უკიდურეს საფეხურს მიაღწია. რუსეთის აღორძინებისაკენ მოწოდება ჩვენი მთავარი ლოზუნგია. ჩვენს დაშლაზე აშენებენ თავის აგიტაციას ჩვენი მტრები, აღნიშნავენ, რომ ბოლშევიკებს მხოლოდ ნგრევა შეუძლიათ და აშენება კი არა, მაგრამ ფაქტები სულ სხვას ამბობს. თვით ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიაც, რომელთაც თავი მოაქვთ მეურნეობის მოწესრიგებით—კრიტიკული მდგომარეობა არსებობს. რუსეთის ემიგრანტთა უმეტესობამ ამერიკაში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განცხადება შეიტანა რუსეთში დაბრუნებითა: ისინი ხელმძღვანელობდენ რუსეთის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღების სურვილით, მაგრამ ამერიკის მთავრობა 3 წელიწადს არ უშვებდა მუშებს, მხოლოთ ეხლა, ბალშევიზმის შიშით, შეუდგა მათ განთავისუფლებას.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

უშედეგოთ დარჩება.

მოსკოვი. „ეკონომიჩესკაია ჟიზნი“ სწერს: ჩვენ სრულებით არ ვიცით ჩვენ ქარხნებისა მუშების შემადგენლობა, არ ვიცით აგრეთვე, თუ რამდენ წარმოებაში არის მუშაობა და თუ რამდენი მუშა ხელი სჭირდება ამა თუ იმ საწარმოო დაწესებულებას. ყოველი ცდა, რომ გამოვიანგარიშოთ მომუშავე და მუშაობისათვის საჭირო მუშათა რიცხვი, უშედეგოთ დარჩება.

ანგარა და ქემალ ფაშა.

სტამბოლი. ქემალისტების გენ. შტაბის ცნობით მათი ოპერაციები კილიკიაში და აგრეთვე სმირნისა და ბრუსის ახლოს მათთვის საკეთილად მიმდინარეობს. ეს მოვლენა აიხსნება მით, რომ შეჩერებულია ბერძნებთან შეტევა. ქემალისტები ყველა ფრონტზე შეტევაზე გადავიდენ. ამასთანავე სტამბოლის პრესა იუწყება, რომ აგერ ორი კვირაა, რაც არავითარი ცნობა არ მოსულა სტამბოლის მთავრობის მიერ ქემალისტებთან გაგზავნილ წარმომადგენლისაგან. პრესას შესაძლებლად მიაჩნია, რომ ანტანტა მოლაპარაკებას დაიწყებს ქემალისტებთან.

ჩინეთში.

ბერლინი. შანხაიდან მოსულ ცნობით ჩრდილო-ჩინეთის ჯარების უფროსს ჩანგ-საულ-ლის ყოველგვარი დამოკიდებულება შეუწყვეტია რესპუბლიკ. მთავრობასთან; ჩანგ-საულ-ლის სურს მონარქიული გადატრიალება მოახდინოს.

გერმანიაში.

მთავრობა ფიქრობს: მოსპოს სურსათ-სანოვაგეზე დაწესებული ნიხრი მთელს გერმანიაში.

არეულობა გრძელდება.

პარიზი. „ტანი“ იუწყება: ნიჟნი-ნოვგოროდში გრძელდება არეულობა.

სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანებით სარატოვში გაიგზავნა სამხედრო კომისარი პოდვოისკი,—რომელიც აღჭურვილია განსაკუთრებული უფლებებით. მას მინდობილი აქვს ვოლგის ნაპირებზე მომხდარი უწესოებათა ჩაქრობა. აჯანყება მოხდა აგრეთვე სმოლენსკშიც, სადაც 8 ათასი ჯარისკაცი აჯანყდა. ეს აჯანყება ჩაქრობილ იქნა. 24 საათის განმავლობაში სმოლენსკს ყუმბარებს უშენდენ მძიმე ზარბაზნებიდან, დახვრიტეს მრავალი ჯარისკაცი.

ჰელსინგფორსი. ფინეთის პრესა აღნიშნავს რუსეთში მომხდარ აჯანყებებს: 2 უკანასკნელი წლის განმავლობაში რუსეთის 5 გუბერნიაში 344 აჯანყება მოხდა. ამავე ხნის განმავლობაში აღმოჩენილ იქნა 412 კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაცია. „ჩრეზვიჩაიკებმა“ დახვრიტეს 8,359 კაცი დააპატიმრეს 45,000 კაცი.

გაფიცვა თეატრებში.

პარიზი. საფრანგეთის პრესა იუწყება პარიზის „გრანდ ოპერის“ ყველა არტისტისა და მუშის გაფიცვის შესახებ. გაფიცვა გამოიწვია წარმოდგენის დროს; საზოგადოება იძულებული იყო მეორე მოქმედების შემდეგ დაშლილიყო. გაფიცვა გამოწვეულია ეკონომიური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის ნიადაგზე.

სოციალისტთა საერთო კონფერენცია.

ლონდონი. ინგლისის პრესა აღნიშნავს, ყველა სოციალისტურ პარტიის წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის საჭიროებას. ამ კონფერენციაზე მოწვეული უნდა იქნენ ყველა მუშათა პარტიისა და კომუნისტების წარმომადგენლები. ამ აზრს მხარს უჭერს ჟიულ გედი. საფრანგეთისა და ინგლისის პრესა მოითხოვს, რომ ამ კონფერენციის მოწვევამდის ანტანტის მთავრობებმა უარი განაცხადონ რუსეთის საქმეებში რაიმე ჩარევაზე.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესს ბიუროს ბიულეტენიდან

26 ნოემბერი.

ტრანსპორტის აღდგენისათვის.

მოსკოვი, 15 ნოემბერი. 1917 წელს, ნიკოლოზის დროს ჩვენი რკინის გზების სიგრძე უდრიდა 64,526 ვერსს. კერენსკის მიერ მოწყობილ შეტევის გამო ეს ციფრი თანდათან კლებულობდა და იმ დროს, როდესაც რუსეთში საბჭოთა ძალა-უფლება დამყარდა, ჩვენი რკინის გზების სიგრძე 53,579 ვერსს უდრიდა. 1918 წლის სექტემბერში ეს ციფრი 20,950 ვერსამდე შემცირდა. მაგრამ 1920 წლის აგვისტოში ეს ციფრი კვლავ 64,272 ვერსამდე გაიზარდა, ე. ი. თითქმის იმდენია, რამდენიც რევოლუციამდე იყო.

ბერძენ-თურქების შეთანხმება.

ტრაპიზონი. 20 ნოემბ. ბერძნული გაზეთი „ეპოქა“ იტყობინება: „სორპესტის“ აზრით, ბერძენ-თურქების შეთანხმება ადრე თუ გვიან უნდა მიღწეულ იქნას, ვინაიდან ამას მოითხოვს ორივე მხარეების ინტერესები და ის მდგომარეობა, რომელიც შექმნა სევრის ხელშეკრულებამ. საბერძნეთში ცხოვრობს სამ მილიონამდე მუსულმანი; რიცხვით ცოტა ნაკლები ბერძნები ცხოვრობენ ოსმალეთის სხვადასხვა ოლქებშიაც. გარდა ამისა, საერთო ფინანსიური და კომერციული მიზნები და საერთო საფრთხე აიძულებს ოსმალეთსა და საბერძნეთს დაივიწყონ ძველი უთანხმოებანი და გაერთიანდენ ახალ საფუძველზე დამყარებულ მეგობრობის ნიადაგზე.

სომხეთის მისიის ცნობები

ოფიციალურად იუწყებიან: ყოფილი სასოფლო-სამეურნეო მინისტრს სიმონ ვრაციანს დაევალა ახალი კაბინეტის შედგენა: ვრაციანმა კაბინეტი უკვე შეადგინა. მინისტრებიდან 4 დაშნაკცუტიუნის, 2 სოც.-რევოლუციონერთა პარტიას ეკუთვნის.

სომხეთსა და ანგორის სამხედრო სარდლობის შეთანხმებით დროებითი ზავი დეკემ. 5 გაგრძელდა.

ნოემბრის 25 გუმბრში დაიწყო სომხეთ ოსმალეთის საზავო კონფერენციის სხდომები. რესპუბლიკის დელეგაციას თავმჯდომარეობს მინისტრ-თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი, დელეგაციის წევრებია: უკანასკნელი კაბინეტის ფინანსთა მინისტრი ა. გიულხანიანი და ყარსის გუბერნატორი ს. ყორღანოვი ანგორის მთავრობის დელეგაციას მეთაურობს ოსმალთა ძალების მთავარი სარდალი კიაზიმ კარაბეკირ ფაშა.

ს. ვრაციანმა პარლამენტში ახალი კაბინეტის დეკლარაცია წაიკითხა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მთავრობა მიისწრაფის ზავის შესაკრავად. ყოველ ღონეს იხმარს, რომ მეზობელ ქვეყნებთან კეთილი განწყობილება დამყაროს.

ვლ. ალექსი-მესხიშვილის დაკრძალვის გამო

მსახიობ ალექსი მესხიშვილის დამკრძალავ კომიტეტმა შეიმუშავა დაკრძალვის შემდეგი ცერემონიალი: ქაშვეთის ეკლესიაში წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 1 საათზე ცხედარს ეკლესიიდან გამოასვენებენ უხუცესი მსახიობნი და საზოგადო მოღვაწენი და დაასვენებენ გალავანში, სადაც სიტყვას წარმოსთქვამს დრამატიული საზოგადოების გამგეობის სახელით გამგეობის თავმჯდომარე ივ. გომართელი.

ამის შემდეგ პროცესია დაიძვრის რუსთაველის პროსპექტით. შეჩერდება სახელმწიფო დრამის და ოპერის თეატრის წინ, სადაც გადახდილ იქნება პანაშვიდი. სახელმწიფო დრამის წინ დაუკრავს ორკესტრი; აქვე სიტყვას წარმოსთქვამს ქართული დრამის დასის წარმომადგენელი.

შემდეგ პროცესია ჩაივლის ვერის დაღმართით და შეჩერდება სახალხო თეატრის წინ, სადაც გადახდილ იქნება პანაშვიდი. აქედან პროცესია პლეხანოვის პროსპექტით პირდაპირ გაემართება დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

მიცვალებულს გაჰყვება სამხედრო სასწავლებლის მუსიკა და კ. ფოცხვერაშვილის მომღერალი გუნდი.

მომღერალთა იმ გუნდს, რომელსაც სურს პროცესიაში მონაწილეობის მიღება, უნდა განაცხადოს ამის შესახებ დამკრძალავ კომიტეტში. გვირგვინი იქნება ერთი დაფნის, წარწერით: „ქართველ სცენის სიამაყეს ლადო მესხიშვილს. ქართველი მოქალაქენი“.

დღეს საღამოს 7 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.

რედაქციამ შემდეგი დეპეშები მიიღო:

ქუთაისი. სულით და გულით შეწუხებულნი ცხარე ცრემლით დავსტირით ჩვენ საყვარელ ხელმძღვანელსა და მეგობარს დიდებულ ლადო მესხიშვილის ცხედარს.

ქუთაისის თეატრში მომუშავეთა სახელით **ონისიმე დადიანი, სერგო ქელიძე.**

ქუთაისი. ქუთათური დასი თავზარდაცემული მოწიწებით იდრეკს მუხლს სასახლო ტრადიციის შემქმნელს დიდი ლადოს ცხედრის წინაშე.

ზესტაფონი. შორაპნის მაზრის სცენის მოყვარენი დიდ მწუხარებას გამოსთქვამენ დიდებული მასწავლებლის და ჩვენი სცენის ქურუმის ლადო მესხიშვილის დაკარგვის გამო. ნიშნად გლოვისა წარმოდგენები შეწყვეტილი იქნება.

დრამატიული ხელოვნების ინსტრუქტორი **ვახო ურუშაძე.**

ბორჯომი. ბორჯომის თვითმართველობა ცხოველ თანაგრძნობას უცხადებს ქართველ ერს და მის დაობლებულ თეატრს ჩვენი თეატრის მშვენების და დიდების ლადო მესხიშვილის გარდაცვალების გამო.

ბორჯომის ქალაქის თავი **ვიქტორ ღლონტი.**

ზესტაფონი. შორაპნის სამაზრო ერობა გიცხადებთ თქვენ და მთელ ქართველებს გულწრფელ თანაგრძნობას ქართული თეატრის მეხოვანი ქურუმის ლადო მესხიშვილის გარდაცვალების გამო. მაზრაში გამოცხადებულია ერთი თვით სასცენო გლოვა. **ერობის გამგეობა.**

ახალი ამბები

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **უცხო ვალიუტით ვაჭრობისათვის** სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა უცხო ვალიუტით მოვაჭრე ისრაელ ასრიევი, რომელსაც აღმოაჩნდა: 310.000 მან. „კერენკები“ და 25,000 მან. ადგილობრივი ბონები. ფული გადაიგზავნა სახელმწიფო ბანკში. საქმე გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

✦ **ქალაქთა კავშირის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის** გამგე ექიმ ელიავასაგან, რომელიც ამ ჟამად პარიზს იმყოფება, მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ მას თან მოაქვს სხვა და სხვა შრატი, როგორც მაგ. დიფტერიის—სტრეპტოკოკის ა. და სხვ. ამასთანავე ექიმ ელიავას უყიდია სხვა და სხვა საექიმო ხელსაწყო, რომელიც საჭიროა შრატისა და სხვ. წამალთა მოსამზადებლად.

✦ **აფხაზეთის კომისარიატმა** მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა კომისარიატის საჭიროებისათვის ეპისკოპოსის ქონების ჩამორთმევის შესახებ. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავრობაში შეიტანა სათანადო მოხსენება.

✦ **სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის წარმომადგენელთა** შეერთებულ სხდომაზე საბოლოოდ დაადგინეს შექმნან სასოფ. სამ. პალატა. ამოირჩიეს საორგანიზაციო ბიურო. ბიუროს თავმჯდომარეთ ი. ანდრონიკაშვილი. ბიურო მიენდო პალატის წესდების პროექტის შემუშავება.

✦ **დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისია** უშვებს ორ წიგნს: 1) „საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი“, ნ. ხომერიკისა, 2) „სხვადასხვა სახელმწიფოთა კონსტიტუცია“—პ. საყვარელიძისა.

✦ **ტელეფონი თფილის-ახმეტა-თელავს შორის.** მიმდინარე წლის 25 ნოემბრიდან დროებით განსაკუთრებულ საქალაქთაშორისო ტელეფონის ხაზების გაკეთებამდე ტელეფონით შეერთებულ იქნა თფილის-ახმეტა თელავი დუშეთის ხაზების საშუალებით, ტელეფონით ლაპარაკი შეიძლება შემდეგ საათებში: 9-დან 10 საათამდე; 13-დან 14 საათამდე და 17 დან 18 საათამდე.

✦ **ელექტრონზე მომუშავეთა კავშირში.** კვირას, 28 ნოემბერს, თეატრ „მინიონში“ (მუშათა სასახლე, შესავალი ბარიათინის ქუჩით) შესდგება ელექტრონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) ზომები მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. 2) მოხსენება მუშათა (აქარხნო) კომიტეტების ვალდებულებების შესახებ 3) საწევრო გადასახადი, 4) მოხსენება ახალი „შრომის ხელშეკრულების კანონი“-ს. 5) მიმდინარე საკითხები. კრება დაიწყება დღის 10 საათზე. თუ დანიშნულ დროზე არ შეიკრიბა წევრთა კანონიერი რიცხვი, მეორე კრება ინიშნება იმავე დღეს დილის 10½ საათზე და შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. ვინაიდან საკითხები მეტად მნიშვნელოვანია, გამგეობა სთხოვს მუშათა კომიტეტებს ყოველგვარი ზომები მიიღონ, რომ კრებას დაესწრონ კავშირის ყველა წევრები.

✦ **სახელმწიფო დრამის თეატრი.** კვირის წარმოდგენა „უგვირგვინო მეფენი“ გადატანილ იქნა ვლ. ალექსი-მესხიშვილის დაკრძალვის გამო, სამშაბათისათვის. კვირის ბილეთები გამოდგება სამშაბათის წარმოდგენისათვის. შაბათს, ნოემბრის 27-ს პირველად ამ სეზონში წარმოდგენილ იქნება პიესა „ზღვასთან“. დეკემბრის 4-ს, 7 და 9-ს პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალი ტრაგედია „ბერდო-ზმანია“ დაიდგმის ალ. ახმეტელის რეჟისორობით.

✦ **მუშათა ცენტრალურ აუდიტორიაში**, შაბათს, 27 ნოემბერს, ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილ იქნება მ. კორელის და შალვა დადიანის მიერ გადმოქართულებული ორ მოქმედ. დრამა „საშინელი შურისძიება“ დასასრულ მხიარული კომედია. ფასები დაკლებულია.

✦ **ავლაბრის მუშათა კლუბში.** დღეს გაიმართება ამავე კლუბის სასარგებლოდ დიდი საღამო. მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა მგოსნები გ. ტაბიძე, ხ. ვარდოშვილი და ობოლი მუშა.

✦ **ენგელსის დღე.** კვირას, 28 ნოემბერს დილის 11 საათზე, სახელმწიფო თეატრში ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიხსნება ენგელსის დაბადებიდან 100 წლის თავის გამო დიდი კრება. ამხ. კ. კაუცკი წაიკითხავს თავის პირად მოგონებებს. ს. დევდარიანი: „ფრიდრიხ ენგელსი და მეცნიერული სოციალიზმი“. ბილეთები იყიდება მეტად დაკლებულ ფასებში (10—20 მ.) პროფესიონალურ კავშირებში.

✦ **ფასები სომხეთში.** საგარეო საქმეთა სამინისტრომ გენერალ ყარალაშვილისაგან ერევნიდან ა/წ 22 ნოემბერს მიიღო დეპეშა, სადაც აღნუსხულია სომხეთში პირველმოთხოვნილების საგნებზე არსებული ფასები. დეპეშის თანახმად მარილი ღირს—2000 მან., შაქარი—7000 მან. გირვანქა, პური 900 მან., ხორცი 1400 მ., კვერცხი 300 მ. ცალი, ჩაი 28.000 მან., შეშა 7000 მ. ფუთი, ბრინჯი 2200 მ. გირვანქა, კომბოსტო 300 მ. გირვანქა, ხახვი 600 მან., კართოფილი 900 მან., კარაქი 7000 მან., ნავთი 5000 მან. გირვანქა, დეპეშა 25 მანეთი სიტყვა.

✦ **კვირას,** დილის 11 საათზე, მუშათა სასახლეში, თფილისის ქალაქის საერთო საავათმყოფო კასა იწვევს რწმუნებულთა საზოგადო კრებას. დასწრება ყველა რწმუნებულთა სავალდებულოა. განსახილველი და მისაღებია კითხვები ოჯახის წევრთა მშობიარობის და დამარხვის დროს დახმარების გადიდების შესახებ და არჩევნები კონფერენციაზე დასასწრებ დელეგატებისა.

✦ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 28 ნოემბერს, დილის 11 საათზე ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქუჩაზე, № 11, შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების წლიური საზოგადო კრება.

✦ **სახელმწიფო ოპერა.** კვირას, 28 ნოემბერს, „აბესალომ და ეთერი“. ეთერის როლს შეასრულებს ახალგაზრდა მსახიობი თ. მ. ოქროპირიძე, მარიხის როლს ქართულ საოპერო სტუდიის მოწაფე ს. გ. გაბაშიძე, აბესალომი სარაჯიშვილი, მურმანი ელიოზიშვილი; ლეკურს შეასრულებენ ბ. ალბერტი და ლეონოვა ოპერას დასდგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორობს ავტორი ზ. პ. ფალიაშვილი.

✦ **ი. ინაშვილის კონცერტი.** დღეს, ქართული კლუბის თეატრში შესდგება ბარიტონ ი. ინაშვილის კონცერტი. მსახიობი შეასრულებს არიას „ღალატი“-დან და სხვა ქართულ ოპერებიდან, აგრეთვე არაყიშვილის რომანსებს. ქ-ნი გლაზისა არიას „ვერტერი“-დან და ჩაიკოვსკის რომანსებს. ქ-ნი სატინისა—მელო-დეკლამატია. როიალთან—ბ. პროხოროვსკი. დარჩენილი ბილეთები კლუბის კასაში.

✦ **ბუნების მეტყველების და გეოგრაფიის მასწავლებელთათვის** პედაგოგიური მუზეუმის გასაცნობათ, კვირას, 28 ნოემბერს შესდგება ექსკურსია. შესახვედრი ადგილი პედაგოგიური მუზეუმი, სანაპირო ქუჩა დილის 10 საათ.

✦ **გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი:** ამა წლის 30 ივლისს ადგილობრივ გაზეთებში შეცდომით იყო დაბეჭდილი ცნობა თფილისში ან. გრომოვაიას (გვათუას ასულის) დაპატიმრების შესახებ იმის გამო, რომ მას ბრალდებოდა ვითომდა მონაწილეობა ბათომში ს. გ. პოლიანსკის 2500000 მან. გაქურდვაში თფილისის სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ დაპატიმრებული ყოფილა ნაქურდალ ნივთებთან ერთად არა გრომოვა, არამედ ანნა ნიკოლოზის ასული **ხრომოვა.** მაშასადამე, ხსენებული ამბავი სრულიადაც არ მიეწერება გრომოვა-გვათუას.

✦ **გაზეთის შეწყვეტა.** ხვალიდან უკანასკნელათ ეგზავნება გაზეთები ოზურგეთს, რადგანაც 120,000 მანეთიდან 30,000 მან. გამოგზავნეს. ორშაბათიდან შეუწყდებათ აგრეთვე ზუგდიდს, ჩოხატაურს, თელავს და სენაკს, თუ დაუყონებლივ ფული არ გამოგზავნეს. კანტორა „განათლება“.

რესპუბლიკის მოქალაქენო

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის სექციები უკვე შეუდგა ფრონტისთვის საჭირო ნივთებისა და საშუალებათა შეკრებას.

არ დარჩეს არც ერთი მოქალაქე, რომ თავისი წვლილი არ გაიღოს.

შემოიტანეთ შემოწირულებანი, რითაც და რამდენიც შეგიძლიათ ყოველ დღე სასახლეში.

ჩვენი თავისუფლების დამცველნი უკვე სამშობლოს საზღვრებზე დგანან. არ დაივიწყოთ ისინი. ისინი ომის შესაძლებლობას აგვაშორებენ.

ბათომი

განსაკუთრებულმა რწმუნებულმა დაათვალიერა სამხედრო ჰოსპიტალი, რადიო სადგური და სანაპირო სიმაგრეები.

— ქობულეთის რაიონმა განსაკუთრებულ რწმუნებულთან დაარსებულ საოლქო საბჭოში გამოგზავნა მუსულიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის ქობულეთის განყოფილების თავმჯდომარე შემედ გოგიბერიძე.

— ბათომის განსაკუთრებული რაზმის უფროსად დაინიშნა თფილისის განსაკუთრებული რაზმის უფროსის თანაშემწე ჯანელიძე.

— გვარდიის მთავარი შტაბის განკარგულებით „მერანს“ ჩამოართვეს გაგრიდან წამოღებული წითელი ხე და დინამო მაშინა. წითელი ხე და დინამო-მაშინა, როგორც სავალუტო საქონელი, კერძო პირისაგან არ უნდა იყიდებოდესო.

— ბერძენი ლტოლვილები გემ „პეტროს“-ით გაემგზავრნენ.

— შავი ჭირის საწინააღმდეგო ბარაკების საჭიროებისათვის ქალაქის გამგეობამ გადასდო ასი ათასი მანეთი.

— საექიმო პერსონალისთვის დასარიგებლათ კი—509 ათასი მანეთი. ეს იქნება გასამრჯელო 1—15 ნოემბრამდე. („ს. ს.“)

უცხოეთი

ისპანია.

საერთაშორისო მეცნიერული კავშირის აღდგენა. 110 ცნობილმა ისპანიის მეცნიერმა გამოაქვეყნა მანიფესტი საერთაშორისო მეცნიერულ კავშირის აღდგენის შესახებ. ამის საბაბათ ის გარემოება გახდა, რომ გერმანიასა და ანტანტას შორის დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ, ისპანიის ზოგიერთმა მეცნიერმა მიულოცა საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის „ცივილიზაციის გამარჯვება“. ეს საქციელი ისპანიაში ყველამ გაჰკიცხა. მანიფესტში აღნიშნულია, რომ ცივილიზაციის ინტერესები მოითხოვენ ყველა ქვეყნებს შორის მეცნიერული კავშირის დაუყოვნებლივ აღდგენას. არც ერთი ხალხი, განსაკუთრებით გერმანელები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მსოფლიო მეცნიერებაში,—არ უნდა იყოს მოკლებული შესაძლებლობას მომავალშიაც შეუწყოს ხელი კაცობრიობის კულტურის განვითარებას. პირიქით, ყველა ქვეყნის მეცნიერების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკურ შეჯახებათა ნიადაგზე აღმოცენებულ მტრობის მაგიერ—კვლავ აღადგინოს მეცნიერულ თანამშრომლობის საერთაშორისო ხასიათი.

ინგლისი.

გინდერსონის აზრი ირლანდიის საკითხის შესახებ. „ტაიმსში“ მოთავსებულ წერილში არტურ გინდერსონი მხარს უჭერს ირლანდიაში კანონმდებელ ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევას პროპორციონალურ წარმომადგენლობის ნიადაგზე. ამ ყრილობის მიზანი იქნება გამომუშავება კონსტიტუციის პროექტისა, რომელიც უზრუნველჰყოფს აგრეთვე ინგლისის მცხოვრებ უმცირესობების ინტერესებს.

გინდერსონი დასძენს, რომ ირლანდიის ჩამოშორება ინგლისისაგან ირლანდიას უფრო მეტს ზიანს მოუტანდა, ვიდრე სარგებლობას. ირლანდიის ეკონომიური ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ—ინგლისთან მჭიდრო ეკონომიური კავშირის შენარჩუნებას.

საფრანგეთი.

თანახმად სასურსათო განყოფილების წინადადებისა პარიზის ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა მაშინონ ღორები. მათ საკვებათ განზრახულია გამოიყენონ სასტუმრო-რესტორან-სავახშმო-სატუსაღოთა და სხვა დაწესებულებების სამზარეულოთა ნარჩენი. ნავარაუდევია დიდი შემოსავალი.

— ქალაქის თვითმართველობაში შესულა წინადადება პარიზი განათებულ იქნეს ისე, როგორც ომამდე. გაზეთების აზრით ეს წინადადება მიღებული იქნება, რადგან მას მხარს დაუჭერენ არა მარტო ქალაქის ხმოსნები, არამედ—მომარაგების სამინისტროც.

ამნაირად, ყოველი დღე აახლოვებს ევროპას ომამდე არსებულ მდგომარეობას.

ფრონტისთვის

ბატონო რედაქტორო! ამასთანავე გახლებთ, ჩვენი სამშობლო ქვეყნის მედგარ დარაჯისა და მცველის სახელოვანი ჯარისა და გვარდიის სასარგებლოთ ხუთას თუმანს (5000 მ).

ვიცი მცირეა ეს წვლილი, მაგრამ სრული იმედი მაქვს, რომ არ დარჩება არც ერთი ქართველი, რომ არ გამოიღოს შეძლებისა და გვარად თავისი წვლილი ჩვენი ქვეყნის დასაცავათ. *)

ს. მერკვილაძე.

ტყიბულის მაღაროები

(ბრძანება გზათა დეპარტამენტისადმი. 20 ნოემბერი 1920 წ.)

ტყიბულის მაღაროების წარმოების გასაძლიერებლად და მართვა-გამგეობის საქმეებში საწარმოებლათ ამასთანავე დართულ დროებითი ინსტრუქციის თანახმად არსდება ტყიბულის კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეთ ინიშნება მოქალაქე ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი. ერთ წევრად გზათა ტეხნიკოსი ბაგრატ მიხეილის ძე მიქელაძე. ხოლო მეორე წევრის თანამდებობა ჯერ ჯერობით თავისუფალი იქნება. კომიტეტის წევრს მოქ. მიქელაძეს ევალება საგანგებო ფუნქციები აღნიშნულ დროებითი ინსტრუქციის სათანადო მუხლებში. დროებით, მესამე წევრის დანიშვნამდე მიევლინება კომიტეტში მესამე წევრის მაგივრად სხდომებზე დასასწრებლად ინსტრუქტორი დეპარტამენტთან ინჟინერი ნიკოლოზ ლევანის ძე გვარამაძე. კომიტეტს ევალება სასწრაფოდ შეუდგეს მუშაობას, რისთვისაც მოაწყოს თფილისში მაღაროების წარმოების მთავარი კანტორა. აღნიშნულ კანტორაში გადმოტანილი იქნეს ტყიბულიდან მთელი კომერციული ნაწილი სათანადო შტატით. კომიტეტმა გადაათვალიეროს წლიური ხარჯთ-აღრიცხვა და სათანადო შესწორებებით სასწრაფოდ წარმოუდგინოს დეპარტამენტს დასამტკიცებლად; აგრეთვე მოახდინოს დაწვრილებითი აღრიცხვა მაღაროების მთელი ინვენტარისა და ქონებისა, აგრეთვე მაღაროების არსებულ ფინანსიურ მდგომარეობისა. (სდს).

პროფესიონალურ კავშირებში

პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში.

მოსამსახურეთა მიღება შრომის ბირჟის გარეშე. განიხილა რა საკითხი ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილების მიერ მოსამსახურეებს შრომის ბირჟის გარეშე მიღების შესახებ, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა 25 ნოემბრის მორიგ სხდომაზე დაადგინა შემდეგი: 1) ეცნობოს ქალაქის გამგეობას, რომ თანახმად შრომის ხელშეკრულების კანონის სათანადო მუხლისა, სეკრეტარიატი დაუშვებლათ სცნობს ქალ. შრომის ბირჟის გარეშე სამსახურზე მიღებას განსაკუთრებით ქალაქის გამგეობის მიერ (იმ შემთხვევების გარდა, რომელიც აღნიშნულია კანონში); 2) წინადადება მიეცეს ქალ. გამგეობას დაითხოვოს სამსახურიდან შრომის ბირჟის გარეშე სამსახურზე მიღებული მოსამსახურეები; 3) მიღებულ იქნეს ზომები, რომ დაუყოვნებლივ დაიხუროს ქალაქში ყველა კერძო საშუამავლო კანტორები.

ორკესტრის მუსიკოსების უმუშევართა შუამდგომლობა. ორკესტრის მუსიკოსთა პროფ. კავშირმა შუამდგომლობა აღძრა სეკრეტარიატის წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინონ კლუბებისა და რესტორანების დახურვის გამო უმუშევრათ დარჩენილ ორკესტრის მუსიკოსებს, კავშირი სთხოვს სეკრეტარიატს ხსენებულ უმუშევართ აღმოუჩინოს დახმარება ფულით, სასურსათო ფონდიდან იაფფასიანი პურის მიცემით და აგრეთვე დაუთმოს მათ ერთ-ერთი დახურული კლუბი სიმფონიური ორკესტრის გასამართავად. საშუალების უქონლობის გამო სეკრეტარიატმა უარყო შუამდგომლობა მატერიალური დახმარების შესახებ. მხოლოდ აღუთქვა ყოველგვარი დახმარება სიმფონიური ორკესტრის მოსაწყობათ. დადგენილ იქნა დაუთმოს ამ ორკესტრს მუშათა აუდიტორია სიმფონიური კონცერტების მოსაწყობათ.

ფასების გადიდება მუშათა წარმოდგენებზე. პირველი სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაციის წინადადებით, ვინაიდან თეატრი დიდ დეფიციტს ნახულობდა მუშათა წარმოდგენებიდან (84000 მანეთი საღამოზე), სეკრეტარიატმა დაადგინა გაადიდოს ბილეთების ფასი 10 მანეთით. იმ წარმოდგენებზე, რომელზედაც გასტროლიორები გამოდიან, ბილეთების ფასი გადიდებული იქნება 50 პროცენტით.

მუშათა კლუბის შესახებ. ვინაიდან აუცილებელია მუშათა კლუბის მოქმედების გაცხოველება, მუშათა მასსებთან მისი შეკავშირება და მატერიალურის მხრივ მისი უზრუნველყოფა, სეკრეტარიატმა სასარგებლოთ სცნო შესდგეს გამგეობა კავშირების წარმომადგენლებიდან და გადაიდოს განსაზღვრული თანხა ყოველ თვიურათ მის შესანახათ.

„ნემსის პროლეტარ.“ კავ. განცხადება. „ნემსის პროლეტარიატის“ კავშირმა სთხოვა სეკრეტარიატს მიიღოს ზომები კავშირის წევრთა სეპარატიულ გამოსვლის წინააღმდეგ, რომელნიც კავშირის დაუკითხავათ მოთხოვნილებებს უყენებენ წარმოებელს სამუშაო ქირის გადიდების შესახებ. კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მუშათა სამუშაო ქირა ძლიერ მცირეა, ხოლო სახელოს. პატრონები დღითი დღე უმატებენ ფასს კოსტიუმის, პალტოსა და სხვას შეკერვაზე.

განიხილა რა ეს საკითხი,—სეკრეტარიატმა დაადგინა წინადადება მისცეს სატარიფო პალატას განიხილოს ხსენებულ დარგის მუშათა ხელფასი და გამოარკვიოს: მათი ჯამაგირი ნაკლებია სხვა პროფესიის მუშების ჯამაგირზე, თუ არა. ამასთანავე ერთად დადგენილ იქნა ეთხოვოს სატარიფო პალატას დააწესოს ნიხრი ყოველგვარ ტანისამოსის შეკერვაზე.

კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობა

ნოემბრის 24-ს მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში გაიხსნა საქართველოს ცენტრალური კოოპერატიულ კავშირის რწმუნებულთა ყრილობა. ყრილობამ ამოირჩია პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ს. დევდარიანი, თავმჯდომარის ამხანაგები გრ. ურატაძე და ს. მაჭავარიანი. მდივნებათ: ჩიქოვანი და თაქთაქიშვილი. ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ აირჩიეს კარლ კაუცკი და ნ. ჟორდანია.

დღიური წესრიგისა და რეგლამენტის მიღების შემდეგ ყრილობამ დაადგინა: მისასალმებელი დეპეშების გაგზავნა დამფუძნებელ კრებისათვის, მთავრობის თავმჯდომარისათვის, სახალხო გვარდიის შტაბისათვის, ფრონტის ჯარებისათვის, საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის კოოპერაციისათვის. მისალმებათა ტექსტის შესამუშავებლად ამოირჩიეს საგანგებო კომისია.

მუშაობის დაწყებამდე ყრილობამ მოისმინა ფინანსთა მინისტრის მოვ. ამხ. ს. ავალიანის შემდეგი მისასალმებელი სიტყვა: „საქართველოს ეკონომიური ცხოვრების საფუძველია სოფლის მეურნეობა და შინაური წვრილი წარმოება, კოოპერატივების ისტორიული ვალდებულებაა თავი მოუყაროს გაბნეულ სამეურნეო ძალებს, მისცეს მათ მუშაობის გეგმა და ის ხაზი, რომელიც შეეფერება დემოკრატიული რესპუბლიკის წესწყობილებას. კოოპერატივი უახლოესი დაწესებულებაა, რომელმაც უნდა აამოძრაოს ადგილობრივი და გაფანტული და გაბნეული ძალები და გაუწიოს მათ მეთაურობა. ომიანობის შედეგებმა ურწმუნოებიც კი დაარწმუნა, რომ მშრომელი ხალხის ერთ ერთი ხსნა არის წარმოების და განაწილების განსაზოგადოებრიობაში, რომელიც პრინციპს უნდა წარსდგეს კერძო კაპიტალის წინაშე. კოოპერატივები, რომლებიც წარმოადგენენ მშრომელი ხალხის მიდრეკილებას, ჩემის ღრმა რწმენით, არის ის შემოქმედი ძალა, რომელიც მჭიდრო საფუძველს ჩაუდგამს საზოგადოებრივ წარმოებას და დღეს აღარ არის ის დაბრკოლება, რომელიც მუდამ ხელს უშლიდა კოოპერაციის დასახული მიზნების განხორციე-

---

*) ფული რედაქციამ მიიღო.

ლებას. დემოკრატიული რესპუბლიკის და კოოპერაციის საბოლოო მიზანი ერთი და იგივე არის, ორივენი თანამშრომელნი არიან. საჭიროა მხოლოდ მჭიდრო კავშირი რესპუბლიკისა და კოოპერაციის შორის, ურთიერთი დახმარება და მჭიდრო მუშაობა. რესპუბლიკა ვალდებულია არის ხელი გაუწყოს კოოპერაციას, კოოპერაცია კი ემსახუროს რესპუბლიკას. რესპუბლიკის არსებული მდგომარეობა მოითხოვს კოოპერაციის და ადგილობრივ თვითმმართველობის მოღვაწეობის აპარატის გადამუშავებას. ამ ორ დემოკრატიულ დაწესებულებათა შორის არავითარი სადავო არ არის, საჭიროა მხოლოდ გარკვევა ურთიერთობის, საშინელი გასაჭირი, რომელსაც განიცდის ერი, რომელიც გამოწვეულია არის ეკონომიური ნიადაგის სისუსტით, მოითხოვს კოოპერატივისაგან დიდ და გაღრმავებულ მოღვაწეობას, მოითხოვს სწორ ეკონომიურ შემოქმედებას, სწორი გეგმა და კოოპერაცია, ამონაკვნესი დემოკრატიული სულისკვეთებით, წარმომადგენელი მშრომელი ხალხის სალი აზროვნების გამონახავს იმ გზებს, რომელიც იხსნის ახლო მომავალში ერს განსაცდელისაგან. ღრმად ვარ ამ ღრმა რწმენითვე ვურჩევ ქართულ კოოპერაციას, ერის ცოცხალ ძალებს, კოოპერაციაში მომუშავე ამხანაგებს მხნეობას, გამჭრიახობას და მამაცობას, გაუმარჯოს საქართველოს კოოპერაციას და ამხანაგ კოოპერატორებს".

ყრილობაზე გამოცხადდა 85 რწმუნებული, რესპუბლიკის ყველა მაზრებიდან. (სდს).

ყრილობამ მოისმინა ევგენ დარჩიას მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის და კოოპერაციის შესახებ. მომხსენებელმა დახატა საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობის სურათი და ის როლი, რომელიც კოოპერაციამ უნდა შეასრულოს დღევანდელ მომენტში. მეორე დღეს—25 ნოემბერს—ყრილობამ მოისმინა გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება ცეკავშირის მოქმედების შესახებ 1919 წ. განმავლობაში, მოისმინა აგრეთვე მოხსენებები ცალ-ცალკე განყოფილებებისა: სავაჭრო, ფინანსიური, საკომისიო და სხვ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში ცეკავშირს მიუღია 6,237,516 მან. მოგება. მომხსენებლები აღნიშნავდნენ, რომ მათ მუშაობას ხელს უშლიდა და მეტად აფერხებდა საერთაშორისო ეკონომიური არევ-დარევა და წმინდა ობიექტიური პირობები, ხელს უშლიდა აგრეთვე საკმაო კაპიტალის უქონლობა. მართალია მოსკოვის სახალხო ბანკის თფილისის განყოფილება და კოოპერატიული ბანკი შესაძლებლობის ფარგლებში სესხით ხელს უწყობდნენ ცეკავშირს, მაგრამ კაპიტალის უქონლობა მაინც აფერხებდა საქმეს. ცეკავშირის საქმიანობას რამდენადმე აფერხებდა მოკავშირე კოოპერატივების დავალიანება, რომელიც 1920 წ. 1 იანვრისათვის უდრიდა 9 905,845 მანეთს. გარდა ამისა მოკავშირე კოოპერატივებიც თავის დროზე ვერ აბრუნებდნენ მათ მიერ წაღებულ საქონლის ღირებულებას. კავშირის გამგეობის მოქმედებას აფერხებდა აგრეთვე ზოგიერთი გამოცდილი თანამშრომლის ჯარში გაწვევა, ან სამსახურიდან გასვლა—მოხსენებიდან აგრეთვე გამოირკვა, რომ კავშირის საწარმოო დაწესებულებათა მოქმედება საანგარიშო წლის განმავლობაში 694,697 მან. წმინდა მოგებით დასრულებულა. აქედან — საპნის ქარხანას მიუცია 280832 მან., საკონსერვო ქარხანას—81722 მან., მექანიკურ სახელოსნოებს—124952 მ. ძეხვის ქარხანას—17654 მ., სტამბას—198529 მან.

საანგარიშო წლის განმავლობაში ცეკავშირის მხრით დიდი ყურადღება იყო მიქცეული კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებაზე. ამ წელს მოწყობილ იქნა დრამატიული სტუდია, კაპელა და წლის დასასრულში მოწყობილ იქნა. კინემატოგრაფიული განყოფილება. საერთო სავაჭრო ხარჯების ჯამიდან კავშირის კულტურულ განმანათლებელ საქმეებზე დაუხარჯავს 8,12%.

1919 წელში სამი შემსყიდველი პუნქტი მუშაობდა: ფოთის, ბაქოსი და ბათომის. შემსყიდველი პუნქტების დაარსების დროს კავშირი მიზნათ ისახავდა: 1) საზღვარ გარეთის ბაზრის საქონელთა შესყიდვის ფართოთ წარმოებას, 2) საქონლის, უმთავრესათ ნედლი მასალის საზღვარ-გარეთ გატანას და 3) ამ ქალაქებში შეძენილ საქონელთა განაწილების საქმეში პუნქტებისათვის საგანმანაწილებლო ფუნქციების დაკისრებას. შემსყიდველმა პუნქტებმა შესაძლებლობის ფარგლებში მიზანს მიაღწიეს. ყველა მომხსენებლები აღნიშნავდნენ, რომ რის გაკეთება შეიძლებოდა არსებულ რთულ და მძიმე პირობებში, კავშირის გამგეობამ ის გააკეთა.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოკავშირეთა ბიუროს წარმომადგენლის მოხსენება. მომხსენებელი აღნიშნავს დადებით ხასიათს კავშირის მუშაობაში და გზა და გზა მიუთითებს იმ ნაკლებზე, რომელიც თან ახლდა ცეკავშირის მუშაობას. სხვათა შორის აღნიშნავს ანგარიშების წარმოების სისუსტეს, შტატის შემოკლების საჭიროებას და თავის მოხსენებას ასრულებს დასკვნით, რომ ცეკავშირის გამგეობის შემადგენლობა პიროვნულად უკეთესი რომ იყოს, მაშინ არსებულ პირობებში მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

სარევიზიო კომისიის წარმომადგენელიც ადასტურებს იმ ანგარიშებს, რომელიც გამგეობამ წარმოადგინა და მიუთითებს გამგეობას ზოგიერთ უმნიშვნელო ნაკლებზე. კამათი მოხსენებათა გარშემო შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

სენატში

1920 წლის დეკემბრის 2 სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საერებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საკასაციო საჩივარი აბრამ დამელაშვილისა, თფ. ოლქ. სას. გან., რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავეთ თან. 2 ნაწ. 1455 მუხ. სასჯ. დებ.

საკასაციო საჩივარი ანდრია ქარუმიძისა თფ. სოლქო სას. განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავეთ სას. დებ. მე 2 ნ. 1455 მ. ძლ. ბორ.

საკასაციო საჩივარი ვლადიმერ ხინტკირიძისა ქუთ. სამ. ოლქ. ყრ. განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავეთ შეურაცყოფის მიყენებაში.

საკასაციო საჩივარი ნიკო ნოზაძისა გორის ოლქის მომრიგ. მოსამართ. ყრ. განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავეთ 2 ნ. 1483 ს. დ.

საკასაციო საჩივარი გრიგოლ ცატურიანცის დამცველის ნაფ. ვუქ. თან. ქუთაისის სამ. ოლქ. სას. განაჩენზე, რომლითაც ცატურიანცი ცნობილია დამნაშავეთ თან. 1 ნაწ. 576 მ. ს. დ.

მოსავლის მტერი და ჩვენი გულგრილობა

ამას წინათ მე ვ წერდი, რომ გარე კახეთის მოსავალი თაგვმა გაანადგურა, და ისედაც შევიწროებული ხალხი გასაჭირში ჩააგდო და ვკვნობდი, რომ მოსავლის მტრებთან საბრძოლველად მიჩენილი ორგანიზაცია სათანადო უნარს გამოიჩენდა.

სამწუხაროდ, ჩემი ეჭვები მართლდებიან. ამ ორგანიზაციის მუშაობა არა სჩანს. ცრუმორწმუნოებით შეპყრობილი ჩვენი სოფლის ხალხი გულხელდაკრეფილი ელის იმ საოცრად მომქმედი მთავარის ამოსვლას, რომელმაც, მისი რწმენით, ზეციდგან ერთი დახედვით მთლათ უნდა მოსპოს ეს მავნე ცხოველი, თაგვი კი სარგებლობს ამით და არხეინათ შეექცევა შემოდგომის მწვანე ჯეჯილს.

მეტი გულგრილობა და დაუდევრობა წარმოუდგენელია. საჭიროა საჩქაროდ მოეთხოვოს ამ ორგანიზაციის ყველა წევრებს მათი მოქმედების და მიზეზული შედეგების მთლიანი ანგარიში, თორემ გვიანღა იქნება.

დრო გადის, მოსავალი იღუპება.

ხმოსანი ნიკ გ.

სახალხო გვარდიაში

21 ნოემბერს, საგანგებო ბათალიონის და საინჟინრო გუნდის კულტურულ-განმანათლებელ სექციასთან არსებულ დრამატიულ კომისიის მიერ „სახალხო გვარდიელის სახლში კარლ კაუცკის სახელობაზე" წარმოდგენილ იქნა პიესა „ციმბირელი". უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია ამ პიესის დადგმის და ჩატარების კრიტიკას სასტიკი ხასიათი მიეცეს. ეს იმისათვის, რომ დრამატიული ორგანიზაცია ახალგაზრდაა როგორც თავისი არსებობით, ისე თავის ძალებითაც. აქ მთავარი ყურადღება, განსაკუთრებით, დრამატიული კომისიის პიესების ამორჩევას უნარს უნდა მიექცეს და მის მიერ მომენტის ალღოს აღებას. დრამატიულმა ორგანიზაციამ, კომისია იქნება ის თუ საზოგადოება სულ ერთია, პირველად ყოვლისა მომენტი უნდა შეიგნოს და შემდეგ ამ მომენტით გამოწვეულ საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას გაუწიოს ანგარიში. ყოვლად შეუფერებელია დღევანდელ დროს ისეთი პიესების დადგმა, როგორიცაა პიესა „ციმბირელი", და მით უმეტეს, შეუფერებელია ეს და უაზრო გვარდიელების სცენაზე, რაც მათ გულსა და სულს არასოდეს არ ეუბნება. „ციმბირელი" უკვე დრო მოჭმული პიესაა, ის დღევანდელ საზოგადოებისათვის თითქმის ყოველგვარ ინტერეს მოკლებულია. ეტყობა, რომ რეჟისორი ისეთ პიესების დადგმას ცდილობს, რომელიც 21 დაუდგამს ან რომელშიაც ხშირად მონაწილეობა მიუღია, რაც მეტად საგრძნობელ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს. ვესურვებთ დრამატიულ კომისიას, რომ შემდეგში უფრო ნაყოფიერი საზრდო მიეწოდებინოს გვარდიელთათვის.

ახალგაზრდა გვარდიელი პავ. ხვა—ძე.

რკინის გზაზე

სად. სამტრედიის პირველი კლასის ბუფეტში 23 ოქტომბერს, ღამის პირველ საათზე შემოვიდნენ სადგურის უფროსი მდივანი და საბარგო კასირი გურდანია თავიანთი ამქრებით, მოითხოვეს ღვინოები და გამართეს ქეიფობა. წასვლელად მოსულ მგზავრებს, რომლებშიაც ბევრი იყო ჩვილ ბავშვიანი ქალები, რომლებიც ნახევრად ჩამოძინებული იყვნენ, ბუფეტის მოსამსახურე ბიჭი მოსდგა და წინადადება მისცა „ნაჩალნიკის ბრძანებით" სკამები დაეცალა, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულს გახდი ძალით დაგაცლევინოთო, რაზედაც ზოგიერთები დაემორჩილენ.

რამდენიმე სიმღერის შესრულების შემდეგ მოქეიფენი ასტეხენ აყალ-მაყალს: ბოთლებს, ჭიქებს, საინს და დანა-ჩანგალს იატაკზე ანარცხებენ და დაღლილ დაჭანცულ მგზავრებს უხერხულ მდგომარეობაში აგდებენ.

ასეთი მოქმედება და ისიც ადგილობრივ უფროსებისგან სწორედ დაუშვებელია.

ბათომში ნავსადგურის საბარგო კასირი, როგორც გადმოგვცეს, გვარად გველესიანი, 21 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, როდესაც საქონლის მიმღებნი კანტორაში იყვნენ, თითონ რესტორანში ღვინოს შეექცეოდა. რაკა შენიშვნა მისცეს, რომ ეს არ არის რიგიანი, ამოიღო რევოლვერი და ერთი საბერძნეთის მოქალაქე კინაღამ მოჰკლა.

ბათომშივე ოქტომბრის 29 საბარგო სადგურის კასირი გურათ მგონი ბუკუჩავა, დილის 11 ს. ისეთი შეზარხოშებული მოვიდა, რომ ფეხზედ ვერ დგებოდა. მისი თანაშემწე, რომელსაც კასირის მაგიერადაც უხდებოდა მუშაობა, გაჯავრებული იყო. უბრალო რამეზედ მიზეზობდა მოსულების მოსაშორებლად.

ყველა ასეთი მოქმედება, რა თქმა უნდა, რესპუბლიკისათვის საზარალოა და საჭიროა ვისგანაც ჯერ არს სათანადო ყურადღება მიაქციოს.

ნოე დიმიტრის ძე ხანიკაძე.

ს.-დ. პარტიაში

ნავთლუღი. 25 ნოემბერს შესდგა მე-7 რაიონული კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა ამხ. ლორიას თავმჯდომარეობით. თფ. კომიტეტიდან ამხ. სარჯველაძის მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად. თანახმად წარსული სხდომის დადგენილებისა მოხდა არჩევნები, ორგანიზაციების გაერთიანებულ სხდომაზე სოციალურ დამხმარე საზოგადოების გამგეობისა აირჩიეს: ბოკერია, სარჯველაძე, ებრალიძე, მახარაძე და ნაცვლიშვილი. გამგეობის სხდომა დანიშნულია ორშაბათს, 29 ნოემბერს საათის 4-ზედ.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება სამხედრო ჰოსპიტალის შესახებ. დაახლოვებით საქმე შემდეგში არის: საგამომძიებლო კომისიამ გადააყენებია ბ-ნი ლულაძე, რის შემდეგ პროფ. კავშირს და ექიმთა თათბირს რამოდენიმე მოსამსახურენი, რომლებიც მხარში ედგენ ბ-ნ ლულაძეს, მავნე პირებათ უცვნიათ და როგორც ასეთები მოუყოლებიათ შტატის შემოკლებაში, მაგრამ ბ-ნი ლულაძე ათი დღის შემდეგ დაუბრუნებიათ ამ ადგილზედ, მასაც ყველა ეს მავნე ელემენტებათ მიჩნეულნი უკან მიუღია, და საპასუხისმგებლო ადგილზე დაუყენებია, სხოლოდ მოწინავე და ერთგული მოსამსახურენი დემობილიზაციის შემდეგ არც ერთი არ მიუღია სამსახურში. ამხ. ლორია აღნიშნავს, რომ ეს დაწესებულება არ იქნება ვერ დადგა თავის სიმაღლეზე, მუდმივ ანარქია, ქურდობა, ამასთანავე რამდენჯერ იქ ორგანიზაცია არ მოაწყვეს ყველა დაგვინგრიეს ხელოვნურად. ეხლა ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა არის რადგან ეს დაწესებულება ქალაქის ხელში გადადის, დავეხმაროთ ქალაქს ამ დაწესებულების გაწმენდაში.

ილაპარაკეს ყველა ამხანაგებმა, რის შემდეგ გამოტანილი იქნა შესაფერი დადგენილება, რომლის საჩქაროდ სისრულეში მოყვანა მიენდო ამხ. ლორიას, იმნაიშვილს და სარჯველაძეს.

რკინის გზის რაიონულ გამგეობიდან ამხ. ს. ფლენტის მოხსენება მიღებულ იქნება ცნობათ.

პ. [illegible]

თფილისი. 21 ნოემბერს შესდგა მრავალ რიცხოვანი კრება 1-ლი რაიონის ქალთა ორგანიზაციის წევრებისა. კრებას თავმჯდომარეობდა ელ. კუტალაძე. ამ დღეს დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა ყოველ კვირაობით ზაფხულში მეცადინეობა დროებით შეწყვეტილი იყო და ახლა ისევ განახლდა, დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მომენტი. 2) დედა და ბავშვთა საზოგადოება. 3) გვარდიელების საკერავი.

კრების გახსნისას მოკლე სიტყვით მიმართა ამხ. გვაზავამ. მან სურვილი გამოთქვა, რომ ყველა ქალები ენერგიულათ მოეკიდებოდნენ იმ მეცადინეობას, რომელიც ამ დღიდან იწყება ქალთა ორგანიზაციაში. შემდეგ ის გადადის მომენტზედ; ეხება ფართოდ დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას.

მოხსენების გათავების შემდეგ კრება გადადის მორიგ საკითხზედ. დედათა და ბავშვთა საზოგადოების სახელით მოკლე მოხსენებას აკეთებს ლ. ფეოდოროვა. ის მიუწოდებს კრებას მონაწილეობა მიიღონ 24 ნოემბერს ზემო აღნიშნულ საზოგადოების სასარგებლოთ ფულის მოგროვებაში. ის აღნიშნავს, რომ ხსენებულ საზოგადოებამ დაარსა ბავშვთა სახლები ობოლი და გაჭირვებულ ბავშვებისთვის. კრებამ ეს წინადადება ერთხმად მიიღო და თანხმობა განაცხადა მუშაობაზე.

შემდეგ ელ. კუტალაძე აკეთებს მოხსენებას გვარდიელების საკერავის შესახებ, ის მიუწოდებს, რომ კრების ყველა წევრებმა შეუკერონ უფასოთ გვარდიელებს საკერავი. კრებამ ეს წინადადებაც ერთხმად მიიღო.

მუშათა შორის

ბათომი. 17 ნოემბერს პარიკმახერთა კავშირის გამგეობის მორიგ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი უმუშევართა შესახებ.

ამხ. ერქომაიშვილის მოხსენებიდან გამოირკვა კავშირის მიერ საპარიკმახეროს გახსნის აუცილებლობა, სადაც იმუშავებენ უმუშევარნი. ამ მიზნით გამგეობამ აირჩია ერქომაიშვილი და რუგალენკო, რომელთაც დაევალათ შუამდგომლობა აღძრან სეკრეტარიატის წინაშე, რათა უკანასკნელმა დახმარება აღმოუჩინოს მათ მატერიალურად და საპარიკმახეროსათვის ბინის რეკვიზიციაში. თავის მხრივ კავშირი ვალდებულებს ხსენებულ საპარიკმახეროში პროფ. კავშირთა წევრთათვის, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებისათვის და სამხედრო პირთათვის 50 პროცენტით ნაკლებათ ხდებოდეს მუშაობა, ვინემ კერძო საპარიკმახეროებში.

— შრომის კომისარიატში სახლის მეპატრონეთა მხრივ შემოდის მთელი რიგი განცხადებებისა, რომ მეეზოვეთა გადასახადი აღემატება მათ შემოსავალს. სახლის მეპატრონეთა ამ მდგომარეობის გამოსარკვევათ და გასავალის ნაწილის ბინის პატრონებზე გადასატანათ, შრომის კომისარმა მიმართა თხოვნით გამგეობას, რათა მან მოიწვიოს თათბირი სახლის მეპატრონეთა კავშირის, ბინისა და მაღაზიების დამქირავებელთა, შრომის კომისარიატის, მილიციის და პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატის წარმომადგენელთა; ამ თათბირმა უნდა გადაწყვიტოს მეეზოვის ქირა.

პროვინცია

ქალ. ლანჩხუთი. არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე, რომ ქ. ლანჩხუთის მცხოვრებლებს დიდს ზარალს აყენებს მდინარე „ლაშის-ღელე", რომელმაც დიდი ხანია ამოაწყვეტა კალაპოტი, აუხვია გვერდი აღმოსავლეთით, აატარა მთელი თფილისის ქუჩა და მცხოვრებლების მდგომარეობა ქუჩის ორივე მხარეზე ჩააგდო უკიდურეს გაჭირვებაში. როგორც წილადბუნება,— მცხოვრებნი იძულებულნი არიან შინაური პირუტყვი ფრინველი აიყვანონ მაღლობ ადგილზე, რომ ღამე წყალმა არ დაახრჩოს და თუ ყველამ ამაებს გადარჩენ შემთხვევით, მაშინ დილით უნდა გაჰყვნენ მოწაფეებს სასწავლებლებში. ნახევარზე მეტი მოწაფეებისა რჩება სასწავლებლებში წაუსვლელი, ვინაიდან სახლიდან გამოსავალი გზა წყლით არის დაფარული. ამ გარემოებას თავის დროზე მიაქცია ყურადღება ქალაქის თვითმართველობამ; მან მოიწვია ინჟენერი, შეადგინა გეგმა და უნდა შედგომოდენ კიდეც მუშაობას ივნისის უკანასკნელ რიცხვებში,—მაგრამ ქალაქის მოურავის უყურადღებობით მუშაობა მაშინ არ დაწყებულა. შემდეგ მუშაობა უნდა დაწყებულიყო ივლისში ან აგვისტოში, ვინაიდან მაშინ მდინარე სულ დამშრალია და ყოველივე მუშაობა შეიძლებოდა და გარდა ამისა მუშა ხელიც უფრო ბევრი იშოვებოდა.

მუშაობის დაწყება სექტემბრის ბოლო რიცხვებში სცადეს, ე. ი. მაშინ, როდესაც წვიმები დაიწყო და მუშა ხელიც არ მოიპოვებოდა. სამართლიანი იყო ხალხის განცხადება: დრო უკვე წავიდა, ახლა მაგისთვის არა გვცალიაო.

მივმართეთ მოურავს რამდენიმეჯერ, მაგრამ მისგან დადებითი პასუხი ვერაფერი მივიღეთ.

15 სექტემბერს მოვიდა დიდი ნიაღვარი, რომელმაც წაიღო ხის ხიდი იმავე „ლაშის ღელეზე" გადებული ნაფლისმცემლის უბანში და მთელი ამ უბნის მცხოვრებნი, მოსწყვიტა ქალაქს და მოწაფეებიც მოაცდინა სწავლას. იმავე დღეს მოწაფე ქალი ნ. კვეტაიშვილისა ჩავარდა წყალში.

წუთიც და ბავშვი დაიხრჩობოდა, მაგრამ შემთხვევით გადაარჩინა ისიდორე ცინცაძემ. ამ საშინელი ამბის გაგონებაზე მოიყარა თავი მთელმა უბანმა; მცხოვრებლებმა იქონიეს მსჯელობა და დაადგინეს: ვინაიდან დღეს ქალაქის კასა არ არის ძლიერი და მასზე დაყრდნობა შეუძლებელია, ამიტომ მთელმა უბანმა შეუწყოს ხელი მუშაობით და მასალების მოტანით; ხოლო ქალაქმა უნდა გაიღოს მარტო ოსტატის ქირა (ორი ოსტატი გააკეთებდა 10 დღეში). ოსტატების სასმელ-საჭმელი, ბინა და დამხმარე მუშების მიცემას კისრულობდა თვით უბანი. არჩეულ იქნა ხელმძღვანელი კომისია 5 პირისაგან შემდგარი. მეორე დღეს გამოვიდნენ სამუშაოთ ქალი და კაცი, მოიტანეს 3 საჟენი ქვა, 1½ ნატეხი ქვა, 1½ საჟ ქვიშა ცემენტი, რელსები და სხვა საჭირო მასალები. მოიყვანეს ინჟინერი, აიღეს ხიდის გეგმა და ყოველივე დაამზადეს. არჩეულმა კომისიამ მიმართა ქალაქის მოურავს ქვის ოსტატისთვის; მოურავის მოადგილემ პავლე ჯორბენაძემ ყოველივე დახმარება აღუთქვა ხალხს და კიდევაც შევუთანხმდით ადგილობრივ ქვის ოსტატებს; მაგრამ როცა ჯერი მიდგა თვით მოურავზე, მან კატეგორიულათ განაცხადა, რომ ოსტატს დღეში 500 მანეთის მეტს არ მივცემო. მიმართეთ თფილისში შრომის ბირჟას, მაგრამ ოვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ და თფილისიდან არავინ ჩამოსულა. კომისია ყოველ დღე დადიოდა მოურავთან, მაგრამ ვერაფერს ვერ მიაღწია. უკანასკნელად იძულებული შევიქენით მივმართოთ ქალაქის საბჭოს ს.-დემოკრატიულ ფრაქციისთვის. ფრაქციის თავმჯდომარემ ლუკა კვიტაიშვილმა მოურავს გააცნო ფრაქციის და საბჭოს დადგენილება ხიდის შესახებ, შევრიც პირადათ სთხოვა, რომ ადგილ. ოსტატები აეყვანა და საქმე მალე დაებოლავებინა, ვინაიდან თვით ხალხი იყო მონდომებული; მაგრამ არაფერმა არ შველა მასზე. შემდეგ კომისიაც და ხალხიც იძულებული გახდენ თავი მიენებებინა ამ საქმისთვის, თუმცა და შეუძლებელია გზაზე ურმით მიმოსვლა.

12 ოქტომბერს კიდევ მოვიდა დიდი ნიაღვარი და ეს ხალხის მიერ დამზადებული ქვა, სილა და სხვა მასალები სულ ერთიანათ წაიღო. ხელმეორედ მისი მოტანა დაჯდება 80.000 მ. მოურავის ეკონომია, რომელსაც მისი აზრით, იგი გასწევდა სულ 15.000 მ. უდრის. სხვათა შორის კომისია წინადადებას აძლევდა მოურავს, რომ ამ ჯამს ჩვენ გადვიხდით. იმ დღეს, 12 ოქტომბერს ჩავარდა წყალში გაბრიელ გოგვაძის მოწაფე ქალი და იხრჩობოდა. დიდის ცდით ირაკლი ძნელაძემ და მილოსი კვერკველიამ გადაარჩინეს დახრჩობას. ხოლო წიგნები, 8.000 მანეთად ღირებული, წყალში დაიღუპა.

საჭიროა ქალ. ლანჩხუთის საბჭომ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, რათა მოკლე დროში ხიდი გაკეთებულ იქნეს.

კომ. წევ. ქ. ზენაიშვილი

წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგს: სამხვთოს თემის მოქალაქეებმა: გიორგი, იოსებ, რაჟდენ, არსენ, ხალამპრე და ნიკო ანტონის ძე ქანქლაძეებმა თავიანთ განსვენებული დედის ალმასხანის აღსანიშნავათ შემოსწირეს სამხვთოს დაწყ. სკოლას 5,000 მან. ნატანებ ფერხისკურის გზის ფონდის გასაძლიერებლათ 5 000 მან. სულ ათი ათასი მანეთი, რაზედაც სამხვთოს თემის გამგეობა თემის სახელით სწირავს მათ უგულითადეს მადლობას.

სამხვთოს თემის გამგეობის თავმჯდომარე დ. წულაძე.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

დაიკარგა

25 ნოემბერს ქალის ფეხსაცმელი (ცალი ფეხის, ფერით ყვითელი). მნახველს ვთხოვ მიიტანოს შემდეგი მისამართით: ნეკრასოვის ქ. № 5, ეფემია ბატიევს. მნახველი მიიღებს საჩუქარს. (3697 2—1)

ყოფილი 4 გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის
მასწავლებელი ი. მაჩაიძე
ამზადებს ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებელში, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 კლასში შესასვლელად. პლეხანოვის ქ. 25 („3-დიუბნი" ალექსის ქ. კუთხიდან) ნახვა 9—12 ს. 2—4 ს. (3789—4—2)

ქ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის ხიდის [illegible] პირდაპირ. (23—დეკ.)

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია

იღებს კანისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ. 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35. (18—დეკ.)

მ. ა. ფაჭრაძე

სპეციალურად სიფილისი და შინაგ. სნეულება (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—6 [illegible] 21 დეკ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმ.). რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოგოლოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12—დეკ.

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე

ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმბა
ნიკოლოზ მახვილაძე

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.)

ნ. ი. ოქროპირიძე

ღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] ქ. № 23, [illegible]

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკიმოვი

გადავიდა კირკის ქუჩაზე [illegible] ლის 3რ № 28. ერევნის [illegible] ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606" და „914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—8 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავათმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ზოკერიასი

(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე

განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიმნაზ. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი
რეზო მაჩაბელი

კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპიი (საშარდე მილის). ახალი-ზებუთოვის ქ. № 5. საჯახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით (პარალელურად). მიღება დილით 0/11 ნახ. ს საღ. 5 7 საათამდე. 13—დეკ.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ელექტრო და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ზუბალოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქვემეთის ეკლესის ახლოს. (4—დეკ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ. 29, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
ქ. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

საქართვ. რკინის გზათა სამმართველო

7 დეკემბერს 1920 წ. 12 საათზე დღისით მოუწოდებს შეჯიბრებაზე მონაწილეობის მისაღებათ იმ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ იჯარით ბუფეტები, სავაჭრო ფარდულები, და საპარიკმახეროები შემდეგ სადგურებზე:

ფოთში, შორაპანში, ჭიათურაში, რიონში, სანაინში და ქუთაისში
ცხელი საჭმელების ბუფეტები და სავაჭრო ფარდულები.
მცხეთაში, ავჭალაში, ნავთლუღში, სანდარაში, შულავერში, ბაქვში სადახლოში და მოლითში
ბუფეტები ცივი საჭმელებით და სავაჭრო ფარდულები.
ხეთაში, ნავთსად. ფოთში, ქობულეთში, ნატანებში, სუფსაში, აბაშაში, ტყიბულში, და ზესტაფონში
ცივი საჭმელების ბუფეტები.
ჯუმათში, საჯევახოში, ქსანში, სურამში, და რაზღვოულში—სავაჭრო ფარდულები
ჭიათურაში, სამტრედიაში, აბაშაში, ახალსენაკში, ფოთში და სახხერეში—საპარიკმახეროები.

განცხადებანი უნდა შემოტანილი იქმნეს პირადათ ან და გადმოგზავნილ ფოსტით. განცხადებას უნდა თან ახლდეს საქვითარო ბარათი საწინდრის ფულის შემდეგი რაოდენობისა: 30.000 მან. ცხელი საჭმელების ბუფეტებზე, 15000 მანეთი—ცივი საჭმელების ბუფეტებზე და 10.000 სავაჭრო ფარდულებზე და საპარიკმახეროებზე საწინდროს ფული უნდა შეტანილ იქმნეს სამმართველოს მთავარ სალაროში ან და ერთ-ერთ სადგურის სალაროში. იმ შემთხვევაში თუ წინადადება შეჯიბრებაზე მონაწილეობის მიმღებ ამა თუ იმ პიროვნებას უარყოფილი იქნება საწინდრის ფული დაუბრუნდებათ მათ უკან.

დაწვრილებით ცნობებს შეჯიბრების შესახებ იძლევა ექსპლოატაციის ნაწილი 10 ს. 2 საათ. დღისით. რკინის გზათა სამმართველო იტოვებს უფლებას გასცეს იჯარით ბუფეტები, სავაჭრო ფარდულები და საპარიკმახეროები თავის შეხედულებისამებრ, ე. ი. არა დიდ განცხადებულ ფასშიაც.

(ნ. 3—2)

საკუთარი სტამბა ერისთავის ქუჩა № 4